საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმელებს გმირული განწყობილება აქვთ!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 55 (599) ხუთშაბათი, 18 მარტი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი.

ედუარდ შევარდნაძე: მადლობას ვუცხადებ სოხუმის ყველა დამცველს

17 მარტს დილით, საინფორმაციო პროგრამა „ალიონმა“ სოხუმიდან პირდაპირი ეთერით გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ. მასში, კერძოდ, საუბარია სოხუმში ბოლო დღეებში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებზე, ჩვენი საჯარისო შენაერთების საბრძოლო მოქმედებაზე, რომელთა თავდადებისა და გმირობის შედეგად შეტევაზე გადმოსული მტერი უკუგდებულია. 16 მარტს დღის მეორე ნახევარში ქართველმა მეომრებმა გაანადგურეს აფხაზ სეპარატისტთა და დაქირავებულთა რამდენიმე ჯგუფი და სერიოზული ზიანი მიაყენეს მათ. სერიოზული დანაკარგებია ქართველთა მხარესაც.

— როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, მადლობას ვუცხადებ სოხუმის ყველა დამცველს, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ინტერვიუში. — ისინი, ვინც თავი გამოიჩინეს, წარდგენილი იქნებიან მთავრობის ჯილდოზე. მაგრამ, მთავარი ბრძოლა წინაა. ზოგიერთი პოზიცია ჯერ კიდევ არ დაგვიბრუნებია. სამობილიზაციო მზადყოფნა ძალაში რჩება. მივიღებთ თუ არა გადაწყვეტილებას საყოველთაო მობილიზაციის შესახებ, ნათელი გახდება დღეს ან ხვალ.

სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა მოსახლეობას, რომ ჩააბარონ იარაღი, რათა დაეხმარონ ჩვენს მეომრებს, რომლებსაც არ ჰყოფნით იგი.

— გუშინ, — თქვა შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — გავუგზავნე წერილი პრეზიდენტ ელცინს. ამ წერილის ტექსტი გამოქვეყნდება პრესაში. გუშინვე ტელეფონით ველაპარაკე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალს რეუტს. ვფიქრობ, შესაბამისი რეაქცია იქნება. და მაინც, ჩემი აზრით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივები ჯერ კიდევ არ არის დაკარგული. დღეს გაგრძელდა აქტიური ბრძოლა ჩვენი პოზიციების აღსადგენად. ღამემ შედარებით მშვიდად ჩაიარა, თუმცა ისევ ბომბავდნენ ქალაქს. განსაკუთრებით დაზიანდა ერთი მრავალსართულიანი სახლი, არიან დაჭრილები. თუ დაბომბვა გაგრძელდება, ჩვენ მივიღებთ საპასუხო ზომებს. მე ახლა არ მინდა, კერძოდ, ისინი დავაკონკრეტო, მაგრამ გუდაუთელებისათვის ეს კარგი არ იქნება...

დღესვე გაიმართება საგანგებო შეკრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ კიტოვანი, იოსელიანი, ყარყარაშვილი, ნადარეიშვილი, კავსაძე და სხვები. სოხუმელებს გმირული განწყობილება აქვთ. ღამით, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, რეუტი დაუკავშირდა გრაჩოვს და დღეს ელოდება მისგან მითითებებს.

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 16 მარტს ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს კონტრიერიში და, როგორც ვიუწყებოდით, მდინარე გუმისთის მთელ სიგრძეზე ფრონტის ხაზი აღდგენილი იქნა. მოწინააღმდეგის მცირე ჯგუფებმა, რომლებიც ჩვენი კონტრშეტევის შედეგად გაიფანტნენ ციტრუსების პლანტაციებში და მდინარის ახლოს მდებარე ნაგებობებში, ასევე სცადეს უკან — მდინარე გუმისთის მარჯვენა მხარეს გადასვლა.

16 საათისათვის დაიწყო წმენდის ოპერაციები, რამაც დაბნელებამდე გასტანა. ამ დროს ბრძოლაში მოწინააღმდეგემ დაჭრილ-დაღუპულთა სახით დაკარგა რამდენიმე ასეული მებრძოლი, ამასთან განადგურებული იქნა ორი ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანა, რომელთა გადმოყვანა მოწინააღმდეგემ ჩვენს მხარეს მოახერხა.

დაბნელების შემდეგ, ბრძოლის ინტენსივობამ იკლო, თუმცა ბრძოლები გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

ღამის განმავლობაში რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა კვლავ რამდენჯერმე დაბომბეს სოხუმი, სხვადასხვა რაიონში ჩამოაგდეს ათამდე ბომბი. არის ნგრევა და მსხვერპლი.

17 მარტს ღამის 3 საათზე მოწინააღმდეგემ კვლავ განახორციელა შეტევა ჩვენს პოზიციაზე, მაგრამ უშედეგოდ, მტერს დიდი ზარალი მიადგა. მათ ვერ შეძლეს მდინარის გადმოლახვა და უკუიქცნენ.

იოსებ გობეჩია.

◆

დაბომბვა და საარტილერიო სროლა გრძელდება

სოხუმი, 17 მარტი. საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბი იუწყება, რომ წუხელ ქალაქს კვლავ დაუშინეს ბომბები. ამჯერად მიმართეს სოხუმის დაბომბვისას ჯერ გამოუყენებელ ახალ ხერხს: ობიექტები წინასწარ ინტენსიურად გაანათეს, შემდეგ კი დაბომბეს. სამხედროები ამას „გირლანდებით“ დაბომბვას უწოდებენ. დანგრეულია სახლები, არის მსხვერპლი. მონაცემები ზუსტდება.

დღეს აფხაზთა მხარე კვლავ უშენდა საარტილერიო ცეცხლს სოხუმს. ჭურვები დააყარეს საცხოვრებელ უბნებს. დიდია ზარალი შუქურის რაიონში, დანგრეულია მრავალი სახლი.

◆

ვითარება სტაბილურია

აფხაზეთში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების პრესცენტრის ხელმძღვანელი სოსო მარგიშვილი გადმოგვცემს:

17 მარტს, დილით კვლავ გამოჩნდნენ რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები, მაგრამ მათ დიდი აქტიურობა რატომღაც არ გამოუჩენიათ. ამჟამად ვითარება აბსოლუტურად სტაბილურია. მდინარე გუმისთაზე გამავალი ფრონტის ხაზი მთლიანად აღდგენილია და მიმდინარეობს მცირე ინტენსიურობის პოზიციური ბრძოლები.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ქუდზე კაცი — სამშობლოს დასაცავად!



ავლანელთა „მამა“

„ჯარისკაცის მამას“ უწოდებენ ავლანელ მეომართა ქვეგანაყოფში გიორგი ქავთარაძეს, ძველ თბილისელ ტაქსისტს. ექვსი შვილის მამასა და რვა შვილიშვილის პაპას, რომელიც ვაჟკაცურად იბრძვის აფხაზეთის ფრონტზე.

იგი მშობლიური საქართველოს სუვერენიტეტისათვის საბრძოლველად გაგრის ტრაგედიის შემდეგ ჩამოვიდა აქ, ოჯახში მოთათბირებისას ცოლს ჟუჟუნას, ყველა შინაურს უთხრა, რომ ჯერ კიდევ სულითა და სხეულით ჯანზე ვარ, ძარღვებში კი მთიელი კაცის სისხლი მიჩქეფსო — გიორგის პაპა ხომ წარმოშობით ფასანაურელია, ჯერ კიდევ შემიძლია სარგებლობა მოვუტანო ჩემს სამშობლოსო. ავლანელთა ჯგუფთან ერთად, წინასწარ გაიარა რა სპეციალური მომზადება, გიორგი იბრძოდა აფხაზ სეპარატისტთა წინააღმდეგ. თანაპოლკელთა შორის ავტორიტეტი დაიმსახურა გაბედულებისათვის, მხედრული ვაჟკაცობისა და გულითადობისათვის.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებს

17 მარტს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქვეყნის მთავარსარდალს გადაწყვეტილება საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების თაობაზე ჯერ არ მიუღია.

— ჩვენმა ჯარმა ამ ეტაპზე შეასრულა თავისი მისია, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — ახალგაზრდობა თავგანწირვით იბრძოდა. შემიძლია ვთქვა, რომ სოხუმი გადარჩა.

რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის რუსეთის პრეზიდენტთან შესაძლო შეხვედრას, ამის თაობაზე პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში გაჩენილი კრიზისის მოწესრიგებას ხელი უნდა შეუწყოს ამ შესაძლო შეხვედრამ, ასევე აპრილის შუა რიცხვებში დაგეგმილი შვიდეულის შეხვედრამაც, რომლის დროს შესაძლებელია რიგგარეშე სხდომის გამართვა.

საუბრის დროს დაისვა საკითხი სამხედრო პროკურატურისა და სასამართლოების მუშაობის გააქტიურების თაობაზე.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გადასარჩენად

17 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ წერილი გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ,

თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია აფხაზეთში მოვლენათა დრამატული განვითარება.

ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით შარშან სექტემბერში მიღწეული მორიგებანი პრაქტიკულად არარად იქცა. ხელშეკრულება, სამწუხაროდ, გამოყენებული იყო ზემოქმედების საშუალებად, რომელმაც პროვოკაციულად გამოიწვია მოქმედება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თქვენთვის ცნობილი ძალების მიერ აფხაზეთში განხორციელებული მთელი რიგი აქციების შემდეგ. ამის შედეგად ათასობით რუსეთელი მოქალაქე, როგორც დაქირავებულნი, აგრეთვე კადრის სამხედრო მოსამსახურენი ჩათრეული აღმოჩნდნენ საქართველოს წინააღმდეგ უშუალო საომარ მოქმედებაში.

იღუპება ასობით ადამიანი, მათ შორის მშვიდობიანი მცხოვრებლები, ინგრევა ათასობით ნაგებობა, კომუნიკაციები და საცხოვრებელი სახლები, ბარბაროსულად ნადგურდება მატერიალური ღირებულებანი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ შეირყა საქართველოსა და რუსეთის ხალხთა კეთილმეზობლური ურთიერთობა.

მე გასაგები მიზეზების გამო ახლა საბრძოლო მოქმედებათა ცენტრში აღმოვჩნდი, მაგრამ მზად ვარ დაუყოვნებლივ განვიხილო შექმნილი მდგომარეობა ადგილზე თქვენ მიერ ამისათვის უფლებამოსილ ნებისმიერი რანგის წარმომადგენელთან. შესაძლებელია ჩვენი სპეციალური მისიის ჩამოსვლაც მოსკოვში. მეც მზად ვარ ჩამოვიდე მოსკოვში თქვენთან შესახვედრად, აგრეთვე არ არის გამორიცხული სხვა წინადადებათა შესაძლებლობაც, რომლებიც ხელს შეუწყობს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას.

დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, თქვენ, ბორის ნიკოლოზის ძევ, გამოიყენებთ ყოველგვარ შესაძლებლობას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გადასარჩენად და მოვლენათა შემდგომი ტრაგიკული განვითარების თავიდან ასაცილებლად.

პატივისცემით,

ედუარდ შევარდნაძე.

ქ. სოხუმი, 1993 წლის 17 მარტი.

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ქ. სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის შედეგად დაზარალებულ, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ

როგორც არაერთხელ აღინიშნა, რუსეთის ავიაციის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ქ. სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას უმძიმესი შედეგები მოჰყვა. ბოლო სამი თვის განმავლობაში დაიღუპა 110 ადამიანი, დაიჭრა 1000-ზე მეტი კაცი, დაინგრა ან სერიოზულად დაზიანდა 800-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ბოლო დღეების განმავლობაში არაერთხელ ვიყავი უშუალო მოწმე ბარბაროსული აქტებისა, რომელთა შედეგად იღუპებიან ან საჩიჩრდებიან უდანაშაულო ადამიანები, ბავშვები, ქალები, მოხუცები, ქართველები, რუსები, აფხაზები, სომხები...

ცნობად ვღებულობ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ თამაზ ნადარეიშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ შექმნილია სამთავრობო კომისია დაღუპულთა ოჯახებისადმი დახმარების, ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის, უსახლკაროდ დარჩენილთათვის თავშესაფარის გამოყოფის უზრუნველსაყოფად. დაზარალებული მოქალაქეების, მათი ოჯახების დახმარების უკეთ ორგანიზაციისა და კოორდინაციის მიზნით ვავალებ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერს ბატონ ზურაბ კერვალიშვილს შექმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი და ოპერატიულად გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელთა მოგვარებაც აღემატება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შესაძლებლობებს.

ბატონმა ზურაბ კერვალიშვილმა ყოველ ათ დღეში მომახსენოს ამ დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებულება

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ

შექმნილ საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით შეყვანილ იქნენ საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში:

კონსტანტინე გაბაშვილი — ქალაქ თბილისის მერი;

ზურაბ კერვალიშვილი — საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი;

ავთანდილ მარგიანი — საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი.

ედუარდ შევარდნაძე.

ქ. თბილისი, 1993 წლის 16 მარტი.

ნომერში

● რას გვპირდებიან რუსეთის სახალხო დეპუტატები? 2
● სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი. 4

მის აღმატებულებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ბატონ ბუტროს ბუტროს გალის

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გაცნობებთ იმ მეტად მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა საქართველოში.

უკანასკნელი დღეების მანძილზე რუსეთის ჯარი და ავიაცია აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ახორციელებს ინტენსიურ საომარ მოქმედებას და ბომბავს საქართველოს უძველესი კუთხის — აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებსა და, განსაკუთრებით, ქ. სოხუმს. ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და უცხო ქვეყნის უხეში ჩარევა სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ სწრაფი და ქმედითი ზომები ამ უსამართლობის აღსაკვეთად, რათა საქართველო არ იქცეს სისხლისღვრის ახალ კერად მსოფლიოს ამ მეტად მნიშვნელოვან რეგიონში.

გისურვებთ ღვთის შემწეობას თქვენს მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო მოღვაწეობაში.

ღრმა პატივისცემით

ილია II,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

16. III. 1993.

მის აღმატებულებას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ ბორის ელცინს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო!

ბოლო დროს საქართველოში მომხდარმა მეტად მძიმე მოვლენებმა ჩვენს ხალხში დიდი მღელვარება გამოიწვია. უკვე რამდენიმე დღეა, რუსეთის ფედერაციის ავიაცია და ჯარის ნაწილები აფხაზ სეპარატისტებთან ერთად გამუდმებით ბომბავენ ქ. სოხუმს. არის მრავალი დაჭრილი და მოკლული მშვიდობიან მოსახლეობაში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ვითხოვთ თქვენს უშუალო ჩარევას ამ მოქმედების აღსაკვეთად, რადგან იგი მეტად უარყოფითად იმოქმედებს ჩვენი ერთმორწმუნე ხალხებისა და სახელმწიფოების მრავალსაუკუნოვან კეთილ ურთიერთობაზე.

საქართველო მეტად აფასებს თქვენს თავდადებულ ღვაწლს სამართლიანობისა და დემოკრატიის დასაცავად გაწეულს.

გისურვებთ ღვთის შეწევნას თქვენს მაღალ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

პატივისცემით

ილია II,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ამავე შინაარსის მიმართვები გაეგზავნა რუსლან ხასბულატოვს რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს, მის უწმინდესობას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი II.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი გამოუთქვა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების შეიარაღებული მოქმედების გამო და მოსთხოვა განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთის ჯარების შეიარაღებული აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, კერძოდ, ნათქვამია:

„უკანასკნელი დღეების განმავლობაში ვითარება აფხაზეთში მკვეთრად გამწვავდა. მიმდინარე წლის 14-15 მარტს რუსეთის ფედერაციის სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბეს საქართველოს არმიის დისლოკაციის ადგილები და ქალაქ სოხუმის საცხოვრებელი უბნები. დაბომბვის შედეგად დაიღუპა 107 და დაიჭრა რამდენიმე ასეული მშვიდობიანი მცხოვრები, დაინგრა 100 და დაზიანდა 600-ზე მეტი სახლი. 15 მარტს ღამით, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ავიაციის დახმარებით აფხაზთა შეიარაღებული ფორმირებანი განუწყვეტლივ უშენდნენ ცეცხლს სოხუმს. 16 მარტს, განთიადისას, აფხაზი სეპარატისტები და მათი დაქირავებულები რუსეთის ჯარების აქტიური მხარდაჭერით გადმოვიდნენ შეტევაზე.

ნოტაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიად მიიჩნევს ისეთ ფაქტებს, როგორიც არის: რუსეთის მხარის მიერ სუვერენული სახელმწიფოს მოთხოვნათა უგულებელყოფა კონფლიქტის ზონიდან რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფების გაყვანის შესახებ, ფართომასშტაბიანი შეტევის დაგეგმვა რუსეთის არმიის სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობით, მდინარე ფსოუზე გამავალი რუსეთ-საქართველოს საზღვრის მხრიდან ტყვიაწამლით დატვირთული ავტოკოლონების, საბრძოლო ტექნიკისა და რუსეთის ჯარების ცოცხალი ძალის შემოყვანა, სოხუმის საცხოვრებელი უბნების მუდმივი დაბომბვა.

ამერიკის ელჩი გვითანაგრძნობს

წმინდა პატრიკის დღე ამერიკაში ერთ-ერთი ნათელი დღესასწაულია, რომელიც 17 მარტს აღინიშნება.

ირლანდიის მიწა-წყლის მხსნელი პატრიკი ხალხმა წმიდანად აღიარა და მის დღეს უდიდესი პატივისცემით აღნიშნავს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა. ამერიკის მოსახლეობა ამ დღესთან დაკავშირებით ირლანდიის ემბლემის ფერის გამო იმოსება მწვანე ფერის ტანსაცმლით, მართავს წვეულებებს, ზეიმობს...

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარების, კერძოდ, სოხუმის ბარბაროსული დაბომბვის გამო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო სოლიდარობას უცხადებს ქართველ ერს და ამ დღესასწაულთან დაკავშირებული საზეიმო ცერემონიალი არ გაიმართა.

ევროპულ გაერთიანებასთან დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით საქართველოს რესპუბლიკის ევროპულ სტრუქტურებში ჩართვისა და ევროპის ქვეყნებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზნით დაარსდა ევროპულ გაერთიანებასთან (ქ. ბრიუსელში), ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია. მისიის ხელმძღვანელად დაინიშნა ბატონი ზურაბ აბაშიძე.

მოვლენათა კვალდაკვალ

საქართველო ხერხემალში არ გადატყდება

ლაზარე ზაქარიაძე

საქართველო თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთგზის მდგარა მძიმე განსაცდელის წინაშე. დღეს სწორედ ასეთი დღე უდგას საქართველოს. მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. წყდება ქართულ მიწაზე. წყდება ისეთი უზარმაზარი ტერიტორიის დაპირისპირების ფონზე, როგორიც რუსეთია.

არაერთგზის გვითქვამს: საქართველოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესები მთლიანად თუ არა ბევრად არის დამოკიდებული იმ რეალიებზე, რომელსაც ნგრევის პროცესში მყოფი ველიკორუსული იმპერია გვთავაზობს. მხედველობაში მაქვს არა საბჭოთა იმპერია, არამედ ის უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც სრულიად სხვადასხვა შენაერთებისაგან შედგება და სხვადასხვა ხალხებით არის განსახლებული და რომელსაც ჩვენ ერთ სახელს ვუწოდებთ: რუსეთი. რუსული სტიქიონის ნგრევად, თვითმკვლელ ბუნებაზე არა ერთ და ორ ფილოსოფოსსა და მოაზროვნეს (მათ შორის რუსს) გაუმახვილებია ყურადღება, არაფერი რომ ვთქვათ შინაურ პოლიტიკურ მჭერმეტყველებაზე, რომელიც ისტორიულად არის მიმართული რუსეთისაკენ. დღესაც ასეა. მთელი მსოფლიო გრძნობს საშინელ პერსპექტივას არა მარტო რუსეთისათვის, არამედ აღმოსავლეთ ევროპისა და მთლიანად მსოფლიოსთვისაც კი. ძლიერია და ადვილად სამართავი რუსული მასა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე შურისძიებამდე მიდგება. შურისძიების საბაბს კი მუდმივად აუწყობელ რუსულ სახელმწიფოში რა გამოლევს. ეს ხელ-ფეხს უხსნის პროკომუნისტურად, პროიმპერიულად მოაზროვნე პოლიტიკოსებს და წარსულის ნოსტალგიური სურათებისაკენ მიაქანებს. დღეს სწორედ ამ პროცესმა იპოვა განვითარება რუსეთში — წარსულისაკენ მობრუნებამ. ამ პროცესს კიდევ უფრო ამწვავებს დემორალიზებული, და როგორც ფსიქოლოგიური, ასევე წმინდად პოლიტიკური თვალსაზრისით დაქუცმაცებული და დამსხვრეული სამხედრო მანქანა, რომლის ნამსხვრევებსაც ერთმანეთთან ფიციც კი არ აკავშირებთ, არაფერი რომ ვთქვათ წარმომავლობასა და პოლიტიკურ შეხედულებებზე. სწორედ ამ სამხედრო მანქანის მსხვრევის პროცესი აშინებს მსოფლიოს ყველაზე მეტად. სწორედ, ამიტომ არის ფრთხილი და გეგმაზომიერი მისი პოლიტიკა, იმ პროცესების მიმართ, რომლებიც ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უფრო და უფრო საშიშ ხასიათს ღებულობენ.

იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ფრთხილი პოლიტიკა რუსეთთან დამოკიდებულებაში ერთადერთ მიზანს ემსახურება: არ მოვყვეთ რუსული იმპერიის ნანგრევებქვეშ. ამ პოლიტიკას პოზიციური ბრძოლის ისეთი დიდოსტატი ხელმძღვანელობს, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა. მაგრამ დრონი მეფობენ და არა მეფენიო, დროის ნიშანი კი ასეთია: რუსული იმპერია მთლიანად დაიპყრო შურისგების კომპლექსმა. დღეს რუსეთის მიზანი უკვე გამარჯვება კი არ არის: ისინი შესანიშნავად გრძნობენ, რომ რღვევის პროცესი შეუქცევადია, უბრალოდ მათ სურთ უფრო დრამატული ხასიათი მისცენ ამ პროცესს და შური იძიონ იმათზე, ვისაც უპირველესი და უმთავრესი როლი მიუძღვით იმპერიის რღვევაში. ეს რუსული ბუნებაა, შურისმაძიებელი ბუნება, რომელიც ქვაკუთხედი გახლდათ ოქტომბრის რევოლუციისა.

მოდით, ახლა მოკლედ მოვიხილოთ ის ორი პოლიტიკური ხაზი, ის ორი მიდგომა, რომელიც რუსეთ-საქართველოს დამოუკიდებლობასთან მიმართებაში ახასიათებს ახალქართულ პოლიტიკურ აზროვნებას და რომელიც ზოგჯერ საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო დაპირისპირებაში ვლინდება. პირველი ხაზი — სახელმწიფო პოლიტიკური ხაზია, რომელიც ცდილობს რუსეთთან დამოკიდებულება სახელშეკრულებო რელსებზე გადაიყვანოს და ამით ერთის მხრივ დროის ფაქტორი მოიგოს და მეორეს მხრივ განზე გადგეს იმ ნგრევადი პროცესებისაგან, რომელიც რუსეთს ემუქრება. სახელმწიფოს მეთაურს კარგად ესმოდა და ესმის თუ რაოდენ დიდი საშიშროების წინაშე დგას საქართველო იმ რეალიების ფონზე, რომლებიც სათავეს მოსკოვიდან იღებენ. ამიტომაც იგი როგორც მოაზროვნე, სერიოზული პოლიტიკოსი, პოლიტიკური მეთოდებით ცდილობდა ამ პროცესების დარეგულირებას. ბოლომდე ცდილობდა და არც ახლა დაუკარგავს იმედი. არა იმიტომ, რომ არ ესმოდა რა ხდებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამაშია მისი ფუნქცია და დანიშნულება, როგორც პოლიტიკოსის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის. ამ მხრივ პოლიტიკოსის პროფესია ძალიან ჰგავს ექიმის პროფესიას. ექიმის ვალია ბოლომდე (ეს მის ფიცშიც დევს) იბრძოლოს ადამიანის სიცოცხლისათვის, თუნდაც დარწმუნებული იყოს, რომ იგი განწირულია. ნუ მივუდგებით მსუბუქად და ზედაპირულად პოლიტიკური მოღვაწის ბედს, მის გოლგოთას. პოლიტიკურ აზროვნებას თავისი კანონები აქვს, რომლებიც ხშირად ძალიან შორს დგანან საგნებისა და მოვლენების გრძნობისმიერი აღქმისაგან.

ახლა რაც შეეხება მეორე ხაზს — რუსეთთან დიამეტრულ დაპირისპირებას. ეს ხაზი თავის თავში უზარმაზარ სიმართლეს მოიცავდა, ადამიანურ სიმართლეს — მართლაც რუსეთის ქმედება თავიდანვე შეიძლება დაფიქსირებულიყო როგორც აგრესია. ეს კი ფაქტობრივად ომის გამოცხადებას ნიშნავდა რუსეთთან. მაგრამ ამით რას ვიგებდით, ან რა იცვლებოდა? სამხედრო უპირატესობას მოვიპოვებდით? რუსეთი შეცვლიდა თავის მზაკვრულ პოლიტიკას? ეს ჟესტი უბრალოდ სულსწრაფობა იქნებოდა, რადგანაც საქართველოს არავითარი შანსი არა აქვს რუსეთს „მეორე ავღანეთი" მოუწყოს.

ახლა რაც შეეხება „ერთმანეთისათვის დაბრალების" არცთუ უცნობ ტენდენციას, რომელმაც აფხაზეთში დატრიალებული ახალი ტრაგედიის პირველსავე დღეს იჩინა თავი ქართულ პარლამენტში — ეს თითიდან გამოწოვილი წინააღმდეგობაა, რომელიც წმინდად პიროვნულ ხასიათს ატარებს. აფხაზეთში დატრიალებული ახალი ტრაგედია არც შევარდნაძის ფრთხილი და გეგმაზომიერი პოლიტიკის შედეგია და არც წერეთლისეული ანტირუსული განწყობის. ეს არის პირდაპირი გაგრძელება და შედეგი იმისა, რაც რუსეთის ყრილობაზე მოხდა. ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი, ჩვენ ჯერჯერობით მთლიანად დამოკიდებულნი ვართ რუსეთში მიმდინარე პროცესებზე, იქ კი სურათი ასეთია: რეაქციულმა ძალებმა აშკარა პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვეს და ფაქტობრივად პროკომუნისტური გადატრიალება მოახდინეს. გავასწრებ მოვლენებს და ვიტყვი: ეს ცენტრის დაპირისპირებას მოასწავებს პერიფერიებთან (საკანონმდებლო სიბრტყეზე ეს დაპირისპირება უკვე უკიდურესად მწვავე ხასიათს ღებულობს), რაც წინაპირობაა რუსეთის დაშლისა. ამაშია ჩვენი ხსნა, რადგან მაშინ რეაქციული რუსეთის მზერა ასე მძაფრად კონცენტრირებული არ იქნება კავკასიისაკენ. უბედურებაა, როდესაც სხვის უბედურებაშია შენი ხსნა, მაგრამ რომ იტყვიან ჯერ თავო და თავოო... ასეა თუ ისე, რუსული მავნებელი სტიქიონი დაიძრა, სტიქიონი, რომელიც რუსეთს დაასამარებს უპირველეს ყოვლისა.

ბოლოს ერთ ფსიქოლოგიურ ნიუანსზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რომელმაც ქართულ პარლამენტშიც იჩინა თავი სოხუმზე მასირებული შეტევის პირველსავე დღეს — ერთგვარი პანიკის, შიშის გრძნობა. დღეს საქართველოს ისტორიული უღელტეხილის კრიტიკულ წერტილს მივადექით, წერტილს, რომლის შემდეგ ან გზაა ან უგზოობა. ვინაც უგზოობას ხედავს, უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკურ ასპარეზს, რადგანაც მას არ სწამს საქართველოს მომავლისა, ლაზარეს აღდგინებისა არ სწამს. ეს ურწმუნოება თუ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სიძულვილიდან იღებს სათავეს, მით უარესი, რადგანაც ეს მტრობაა. საქართველოს მტრობა. ნიშნისმოგებითი განწყობა (ასეთი განწყობა კი მე პარლამენტის შენობაშიც ვიგრძენი ზოგიერთი პარლამენტარის თვალებში) უკვე სრული პოლიტიკური და ადამიანური სიბრმავეა, რომელიც არავის ეპატიება.

სოხუმი დღეს საქართველოს ხერხემალია. მტრის გულის გასახეთქად ვიტყვი, — შინაურის და გარეულის — საქართველო ხერხემალში არ გადატყდება.

რას გვპირდებიან რუსეთის სახალხო დეპუტატები?

სოსო ცინცაძე

ხასბულატოვის შემაჯამებელი სიტყვა მოკლე და ტიპიური იყო. როდესაც სპიკერი მისთვის დამახასიათებელი მშვიდი და მენტორული ტონით საუბრობდა დემოკრატიისა და კონსტიტუციური წყობის გამარჯვებაზე, მის ზურგს უკან პრეზიდენტის სავარძელი ცარიელი იყო: ჯერ კიდევ წინა დღეს, დეპუტატებმა ყველაფერი იღონეს, რათა ელცინს ზედმეტად ეგრძნო თავი დარბაზში. სამაგიეროდ, გვერდი-გვერდ ისხდნენ და ერთად უკრავდნენ ტაშს პრემიერი და ვიცე-პრეზიდენტი.

13 მარტის უმეტესი ნაწილი პრეზიდენტმა ალბათ ტელევიზორთან გაატარა, არცთუ სასიამოვნო ფიქრებში. ეგი ძნელად აპატიებს საკუთარ თავს, რომ მოსკოვის მეორეხარისხოვანი უმაღლესი სასწავლებლის ბევრისათვის უცნობი რიგითი პროფესორი გვერდში ამოიყენა, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა და პარლამენტიც კი დაუტოვა მემკვიდრეობით. ასევე ბევრჯერ გაახსენდება მისი უერთგულესი „რუსი კარდინალის" ბურბულისის ქებები ავღანეთში გმირობანაშოვნი მფრინავის, პოლკოვნიკ რუცკოისადმი, როდესაც მასზე შეაჩერა არჩევანი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს რომ ეძებდა. ხასბულატოვი და რუცკოი ადვილად შეიძლება იქცნენ მის მთავარ მეტოქეებად, თუკი საქმე მართლაც მიდგება ვადამდელ არჩევნებამდე.

დღეს უკვე ცხადია, რომ ელცინის გუნდი ცუდად მომზადებული შეხვდა ყრილობას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში რუსეთის პრეზიდენტს აშკარად ღალატობს საქვეყნოდ ცნობილი ტაქტიკური ალღო: როდესაც მან ერთი მეორის მიყოლებით დაუთმო კონსერვატორებს პოლტორანინი, გაიდარი, ბურბულისი, იაკოვლევი, ხოლო ყრილობის გახსნის წინა დღეებში — ბოლდირევი მთელი თავისი უწყებით (საკონტროლო სამმართველოთი), ეს უკვე გათვლილი კომპრომისი კი არა, უწესრიგო უკანდახევა იყო.

VIII ყრილობამ და ყრილობისშემდგომმა პერიოდმა სხვა კუთხით დაგვანახა რუსეთის პრეზიდენტი; ჩემი აზრით, მან დაკარგა მთავარი თვისება, რამაც გასულ წლებში საყოველთაო პოპულარობა და პოლიტიკური დივიდენდები მოუტანა — ტიტანური ბრძოლისუნარიანობა და დასახული მიზნისაკენ დაუოკებელი სწრაფვა. კომპრომისი აუცილებელია დიდ პოლიტიკაში, მაგრამ როდესაც მოწინააღმდეგე მხარე კომპრომისებს შენს სისუსტედ მიიჩნევს, ამ კურსის გაგრძელება კაპიტულაციის ტოლფასია.

...პრეზიდენტისა და მის მომხრეთა მხრივ აშკარად სუსტი სვლა იყო დამფუძნებელი კრების იდეის წამოყენება. თავისთავად იგი მიმზიდველი და რომანტიკულია — გარკვეული ვადით იკრიბებიან უანგარო ადამიანები, შეიმუშავებენ და მიიღებენ კონსტიტუციას და დაიშლებიან; არც მაღალი ხელფასები და უცხოეთში მივლინებები მთავრობის ხარჯზე, არც მოსკოვში პრივატიზებული ბინები და, რასაკვირველია, არც პირადი პოლიტიკური ამბიციები. რეალობაში კი მოქმედი კონსტიტუცია არავითარ დამფუძნებელ კრებას არ ითვალისწინებს. ე. ი. საჭირო იყო კონსტიტუციის შეცვლა, დამფუძნებელ კრებაზე სპეციალური კანონების შემუშავება, მიღება, და მერე ვის უნდა მიეღო ეს კანონები? ისევ [illegible] დეპუტატთა ყრილობას, რაც გამორიცხული იყო. სხვა, ნებისმიერი ალტერნატივა კი, უკვე მოქმედ კონსტიტუციას უპირისპირდებოდა.

ერთი შეხედვით, ყრილობაზე ელცინის ყველაზე სერიოზული მარცხი რეფერენდუმის უარყოფა იყო. სინამდვილეში კი სწორედ „საკუთარ ილეთზე დაიჭირა" ხასბულატოვმა პრეზიდენტი; თუმცა რეფერენდუმის იდეა პრეზიდენტს ეკუთვნოდა, მაგრამ ხალხის სამსჯავროზე გასატანი კითხვა პირველმა სწორედ სპიკერმა ჩამოაყალიბა და ერთდროულად საფუძვლიანად და მეთოდურად იწყო რეფერენდუმის იდეის დისკრედიტაცია. ეგებ, არც ცდებოდნენ რეფერენდუმის მოწინააღმდეგენი, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ რიგებითა და დეფიციტებით გაწამებული მოქალაქის პასუხი კითხვებზე, რომლის არსი ხეირიანად არც ესმის და არც აინტერესებს, შემთხვევითი იქნება და რეალურ სურათს ვერ ასახავს. გარდა ამისა, რეფერენდუმის რეალური ფასი ხომ ნათლად ცხადყო 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმმა. ყრილობის უშუალოდ წინა პერიოდში უკვე პრეზიდენტის მომხრეთა შორისაც გამოჩნდნენ რეფერენდუმის მოწინააღმდეგენი. მეორე მხრივ, ელცინის ყველაზე მტკიცე მომხრეებიც დემორალიზებულნი იყვნენ პრეზიდენტის მოულოდნელი განცხადებით, რომ იგი მზად იყო უარი ეთქვა რეფერენდუმზე, თუკი პარლამენტთან კომპრომისი მოხერხდებოდა.

ხასბულატოვმა ვადამდელი არჩევნების ინიციატივითაც აჯობა პრეზიდენტს. მან ისიც კი განაცხადა, რომ საერთოდ არ მიიღებს მონაწილეობას მომავალ არჩევნებში, ვინაიდან დარწმუნდა, რომ „პოლიტიკა ჭუჭყიანი საქმე ყოფილა". თუმცა ასეთი განცხადებები გულუბრყვილოთათვის არის განკუთვნილი (ხასბულატოვი ხომ VII ყრილობაზეც „გადადგა", მაგრამ რამდენიმე საათში ისე მოიწყინა „ჭუჭყიანი პოლიტიკის" გარეშე, რომ დაუბრუნდა სპიკერის სავარძელს), ამან სულაც არ ავნო მას.

ახლა რაც შეეხება პროგნოზებს, თუკი ეს საერთოდ შესაძლებელია დღევანდელ რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთა ფონზე; რიგ რუს და დასავლელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ყრილობაზე ელცინმაც მიაღწია რაღაც შედეგს, როდესაც დეპუტატებს მთავრობის უფლებამოსილებათა გაფართოება გამოსტყუა. ჯერ ერთი, რომ ამ საკითხზე დეპუტატებმა დაუთმეს არა პრეზიდენტს, არამედ პრემიერს, და გარდა ამისა, არც მთავრობის დამატებითი უფლებებია დიდი ბედინა — ცენტრალური ბანკის, საპენსიო ფონდისა და კიდევ რამდენიმე უწყების ხელმძღვანელი კი მიიღებს მონაწილეობას მთავრობის სხდომებში, მაგრამ კვლავინდებურად პარლამენტის უშუალო დაქვემდებარებაში დარჩება. არც ის არის გამორიცხული, რომ ამ მოკრძალებულ დათმობასაც გამოიყენებს სპიკერი, რათა ბზარი გააჩინოს პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთობაში. ცხადია, რომ უახლოეს მომავალში (როგორც მინიმუმ წლის ბოლომდე) რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. „საჭიროების შემთხვევაში" პარლამენტს შესაძლებლობა მიეცემა უკვე პრემიერი აქციოს განტევების ვაცად და ნებისმიერი დათმობები აიძულოს. პირველი, რასაც ხასბულატოვი „ხალხის სახელით" ჩერნომირდინისაგან მოითხოვს, „გაიდარის გუნდის" გარეკვა იქნება. მაშინ კი ჭირს მოჰყვება რეფორმამაც და საბაზრო ეკონომიკამაც რუსეთში, ვინაიდან ძნელი სავარაუდო არ არის, რომ ჩუბაისის, შუმეიკოსა და სხვების ადგილს დაიკავებენ „სამოქალაქო კავშირის" კანდიდატები, რომელთაც მხოლოდ ჩვენში მიიჩნევენ ცენტრისტებად, დასავლეთში კი ვოლსკის გუნდს აშკარად ანტირეფორმისტულ ძალად თვლიან.

რუსეთში პოლიტიკური არასტაბილურობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში თითქმის შეუძლებელი გახდება ჰიპერინფლაციის შეკავება, რომლის დამღუპველი შედეგები ჯერ კიდევ 1919 წელს გათვალა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ კეინსმა. შემდგომში ჰიპერინფლაციას თითქმის ყველგან (ვაიმარის რესპუბლიკით დაწყებული და არგენტინით დამთავრებული) ტრაგიკული სოციალური ძვრები მოჰყვა.

რუსეთის პრეზიდენტის იმპულსური ხასიათის გათვალისწინებით, გამორიცხული არ უნდა იყოს მისი მხრივ რაიმე ექსტრაორდინალური ხასიათის გარეგნულად ეფექტური აქციები, ვთქვათ დრამატულ ფორმებში მხარდაჭერა სთხოვოს მაღაროელებს, რომლებმაც უკვე განაცხადეს საამისო მზადყოფნა. პირველ რიგში ეს, რასაკვირველია, გამოიწვევს მთავრობის დამატებით სიძნელეებს და პრემიერის უკმაყოფილებას, რაც ისევ და ისევ სპიკერისა და პარლამენტის წისქვილზე მიუშვებს წყალს.

ნებისმიერ შემთხვევაში ერთი გარემოება არ უნდა გამორჩეს პრეზიდენტს მხედველობიდან — ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუარესება მის მოწინააღმდეგეებს აძლევს ხელს. შემთხვევითი არ არის, რომ ფაქტობრივად უკვე რეაბილიტირებულნი არიან „გკჩპ"-ს წევრები, რომელნიც თავისუფლად ესწრებიან ანტისახელმწიფოებრივ თავყრილობებს და მიტინგებს, აძლევენ ინტერვიუებს, აქვეყნებენ სტატიებს და ა. შ. აქ უკვე აშკარაა არა რამდენიმე ხანდაზმული ადამიანის შენდობა, არამედ იდეის რეანიმაცია.

ერთი, ჩემი აზრით, სიმპტომატური დამთხვევა — ყრილობის დამთავრებიდან დაახლოებით 3-4 საათის შემდეგ „ოსტანკინოს" არხით გადაიცა გ. ბოროვიკის ხანგრძლივი ინტერვიუ „გკჩპ"-ს ერთ-ერთ წევრთან, გენერალ ვარენიკოვთან. გენერლის მთელ თვითდაჯერებულ საუბარს წითელ ზოლად გასდევდა ერთი იდეა — ვერც „ცივი ომი", ვერც გამალებული შეიარაღება ვერაფერს დააკლებდა საბჭოთა კავშირს, თუ არა შიგნიდან ღალატი. მთავარი მოღალატეები კი გორბაჩოვი და შევარდნაძე არიან, რომელთაც ზუსტად შეასრულეს რეიგან-ბუშის რჩევები და დაშალეს ძლევამოსილი სახელმწიფო. პუტჩისტი გენერლისაგან სხვაგვარი ინტერპრეტაცია არც არის მოსალოდნელი, მაგრამ იმავე დღეს ცოტა ადრე ანალოგიური ბრალდება წაუყენა გორბაჩოვ-შევარდნაძეს ხასბულატოვმა, ყრილობაზე დასკვნით სიტყვაში; ეს კი ბევრის მომასწავებელი უნდა იყოს. როდის აქეთ ალაპარაკდნენ ერთ ენაზე აგვისტოს პუტჩის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და აგვისტოს მშფოთვარე დღეებში „თეთრი სახლის" ერთ-ერთი მთავარი დამცველი? ხომ არ მიგვანიშნებს ყოველივე ეს უკანასკნელ პერიოდში რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებზე და ხომ არ მოითხოვს ჩვენგან საგანგებო დასკვნებს?

სათქმელი უნდა ითქვას

ნამდვილად დამატებითი საფიქრალი გაგვიჩინა 13-მა მარტმა (მართლაც რომ თარსი რიცხვია!); აჯამებდა რა ყრილობისა და პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგებს, უსაფრთხოებისა და დაზვერვის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე კოჟოკინი დაუფარავ სინანულს გამოთქვამდა, რომ სწორედ რუსეთში შექმნილმა ვითარებამ არ მისცა უკანასკნელს (ე. ი. რუსეთს) შესაძლებლობა მოეწესრიგებინა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ეთნოკონფლიქტები და „არ დაეშვა სისხლისღვრა". რა გამოდის, რუსეთში სტაბილურობის აღდგენისაც უნდა გვეშინოდეს?

...ფაქტია, რომ ელცინს მტკივნეული დარტყმა მიაყენეს ყრილობაზე, თუმცა არა სასიკვდილო; როგორც უკვე აღვნიშნე, მას შეუძლია პირდაპირ მიმართოს რუს ხალხს, მაგრამ ამას შეიძლება თვითონ რუსეთის დაშლა მოჰყვეს. როგორც ჩანს, საბოლოო სიტყვა არც დასავლეთს უთქვამს; ბევრი რამ უნდა გაირკვეს ელცინ-მიტერანისა და ელცინ-კლინტონის შეხვედრის მსვლელობაში. მართალია ბრიტანეთის პრემიერის პირველი რეაქცია ყრილობაზე ისეთი იყო, რომ დასავლეთისათვის უკვე აზრი აღარა აქვს დახმარება აღმოუჩინოს რუსეთს, მაგრამ თუ ასეთი განცხადებით იგი ელცინის მოწინააღმდეგეთა შეშინებას ცდილობს, აშკარად ცდება — დასავლეთის დახმარება დღეს იმ რამდენიმე არგუმენტთაგანია, რომლებიც ელცინს შემორჩა რეფორმათა სასარგებლოდ. სხვაგვარად ობივატელის თვალში სწორი იქნება ხასბულატოვი — დასავლეთმა საბჭოთა კავშირი დააშლევინა გორბაჩოვსა და შევარდნაძეს, შემდეგ კი ბედის ანაბარა მიატოვა როგორც რუსეთი, ასევე ყოფილი რესპუბლიკები.

მე შორს ვარ ელცინის რუსეთის იდეალიზაციისაგან, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ რუსული ნეოიმპერიალიზმის რეალური საფრთხით შეშფოთებულმა მსოფლიო საზოგადოებრიობამ ელცინს უნდა დაუჭიროს მხარი. ამ მხრივ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ სწორედ საქართველოს ხელისუფლებამ გამოთქვა პირველმა თავისი შეშფოთება ყრილობის შედეგებით, ასეთსავე პოზიციაზე დადგა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობაც, რაც შეეხება დასავლეთს, მიუხედავად საკუთარი ეკონომიკური პრობლემებისა, პრეზიდენტმა კლინტონმა უკვე ამცნო კონგრესს, რომ იგი წინათ დაგეგმილზე გაცილებით მეტ სახსრებს მოითხოვს რუსეთისა და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა დასახმარებლად. მიტერანთან შეხვედრისას კი აშშ-ის პრეზიდენტმა კატეგორიულად დასვა დიდი შვიდეულის კიდევ ერთი, დამატებითი, ვადამდელი შეხვედრის საკითხი (რიგითი შეხვედრა უნდა გაიმართოს ტოკიოში ივლისში), შეხვედრისა, რომელიც მთლიანად რუსეთისადმი დახმარების პრობლემას უნდა მიეძღვნას. ლოგიკური და დამაჯერებელია კლინტონის არგუმენტი — თუ დასავლეთი „ცივი ომის" წლებში ტრილიონებს ხარჯავდა საბჭოთა კავშირისაგან მომდინარე საფრთხის გასანეიტრალებლად, ახლა მხოლოდ მილიარდები უნდა გაიღოს, რათა ხელახლა არ აღმოჩნდეს ამ საფრთხის წინაშე.

რაც შეეხება ყრილობის შედეგებს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათათვის, მან არ დააყოვნა — დეპუტატებს მოსკოვიც არ ჰქონდათ დატოვებული, რომ ყირიმში, სიმფეროპოლში რუსულმა პარტიამ ანტიუკრაინული მიტინგი მოაწყო ლოზუნგით — „ელცინი— რუსეთის სირცხვილი". მომიტინგეებმა არაორაზროვნად ჩამოაყალიბეს თავიანთი მთავარი მოთხოვნა — თუ უკრაინა გამოვა თანამეგობრობიდან, ყირიმი დამოუკიდებლად უნდა შევიდეს ამ თანამეგობრობაში. შემდგომი ნაბიჯი, რასაკვირველია, რუსეთთან შეერთება იქნება. უკანასკნელ დღეებში შემთხვევითი არც აფხაზეთის ფრონტზე მდგომარეობის გართულებაა.

ბუნებრივია, რომ იმანენტურად იბადება მთავარი კითხვა — როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა თუ გნებავთ იგივე მერვე ყრილობის შედეგების გათვალისწინებით? ცხადია, რომ რუსეთში მიმდინარე პროცესების დინამიკური ხასიათი ჩვენგან ადეკვატურ ტაქტიკურ რეაგირებას მოითხოვს, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია თვითონ მოვლენათა არსში ზუსტად გარკვევის გარეშე. სწორედ აქ ვაწყდებით პირველ და შეიძლება ითქვას ყველაზე სერიოზულ სირთულეს — დღემდე საქართველოში არავის მოსვლია აზრად პროფესიულ, მეცნიერულ დონეზე დაეწყო თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური სპექტრის კვლევა. ნუთუ დღესაც უნდა გვიხდებოდეს იმ ქრესტომატიული ჭეშმარიტების მტკიცება, რომ რუსეთთან ჩვენი დიალოგის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ცოდნის დონესთან. თუ რა ვითარებაა ამ მხრივ, ამაზე სულ უკანასკნელი ფაქტორებიც მეტყველებს: ყრილობის დამთავრებისთანავე საქართველოს ტელევიზიამ მეორე არხით (რუბრიკით „ტაიმ აუტი") გააანალიზა მისი შედეგები. არ ვიცი, რა საფუძველი ჰქონდა გადაცემის წამყვან ქალბატონს (ნორმალურ ქვეყნებში ასეთ გადაცემებს, როგორც წესი, სპეციალისტები უძღვებიან) იმის მტკიცებისათვის, რომ „რეალისტურად უდგებიან რუსეთის ფაქტორს ჩვენი მოქალაქეებიო", მაგრამ მის მიერ ყოველგვარი კომენტარის გარეშე გადმოცემული სქემის თუ საკუთარი დასკვნები ხასბულატოვის კავშირზე „ჩეჩნურ მაფიასთან" და ელცინის მზადყოფნაზე ჯარი გამოეყენებინა (თურმე ნუ იტყვით, სამხედროებიც ამასვე მოითხოვენ მისგან), სხვა რომ არა ვთქვათ, რა გულუბრყვილოდ ჟღერდა და აბსოლუტურად არაზუსტად წარმოგვიდგენდა იგივე „რუსეთის ფაქტორს". დასანანია, რომ ხსენებულ გადაცემას იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერც მასში მონაწილე ჩვენმა დეპუტატებმა შემატეს რამე. კიდევ უფრო უსუსური იყო იმავე საღამოს „იბერვიზიის", „დაიჯესტ მონიტორის" ინფორმაცია ყრილობის შედეგებზე, რეფერენდუმსა და პლებისციტზე. ყოველივე ამას ვინმეს განქიქების სურვილი არ მალაპარაკებს; ეს ბუნებრივი შედეგია ჩვენში არსებული საერთო ვითარებისა და უსამართლობა იქნებოდა ამაში დამწყები ჟურნალისტებისათვის დაგვედო ბრალი.

...გასული წლის უკანასკნელ დღეს სენსაციური მონაცემები გამოაქვეყნა ვენის ასტროლოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ ფიდელსბერგერმა; ციურ სხეულთა განლაგებით (მეცნიერის განსაკუთრებულ შეშფოთებას მერწყული იწვევს) იგი ვარაუდობს, რომ 1993 წელს უნდა ველოდით კომუნიზმის რესტავრაციას ან ახალ რევოლუციებს. ასეთი პროგნოზის საფუძველს მას აძლევს 1912 წელს უკვე აღნიშნული მერწყულის „მეფობა", როდესაც გერმანიაში მოულოდნელად აზვირთდა რევოლუციური მოძრაობა, ხოლო პრაღის კონფერენციაზე ლენინმა და სტალინმა მენშევიკებზე გაიმარჯვეს; ასევე მერწყულის ნიშნით წარიმართა 1917 წლის რევოლუცია. რუსეთის სახალხო დეპუტატთა მერვე ყრილობაზე პირველი სერიოზული რევანში აიღეს მათ, ვინც 1990-1991 წლებში დაკარგეს ძალაუფლება. გარკვეულწილად ჩვენს გონიერებაზეც არის დამოკიდებული რუსეთის (და არამარტო რუსეთის) მომავალი.

უცხოეთის პრესიდან


ЕЩЕ ПОЛНОМОЧИЙ! ЕЩЕ! ЕЩЕ! ЕЩЕ!
ВАЛЮТЫ
ХЛЕБУШКА
FK 1993

გაზეთი „სოვეტსკაია როსსია", 13 მარტი, 93 წ.

საქართველოს სამხედრო სარდლობის ცნობა

განვლილი დღეები აღინიშნა მძიმე ბრძოლებით მდინარე გუმისთაზე მხარეთა საბრძოლო შეხების მთელი ხაზის გაყოლებით.

შუაღამემდე ბომბორის აეროდრომზე ბაზირებული რუსეთის ფედერაციის საბრძოლო თვითმფრინავები ბომბავდნენ ქალაქ სოხუმის საცხოვრებელ უბნებს. ქალაქის სამ რაიონში დაინგრა სახლები, არიან დახოცილნი და დაშავებულნი. დღეს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა არტილერიის ცეცხლითა და მოტომსროლელი ქვეგანაყოფების იერიშით საბოლოოდ უკუაგდეს მოწინააღმდეგე მდინარე გუმისთის გაღმა. აფხაზ ბოევიკთა დარჩენილი დაქსაქსული ჯგუფები პანიკურად იხევენ უკან და განიცდიან ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის ზარალს.

საქართველოს ჯარების ვერტმფრენებმა გაანადგურა კიდევ ერთი გემი, რომელიც საზღვაო დესანტის გადმოსასხმელად ემზადებოდა.

საქართველოს ჯარების დროულად მოსული ახალი ძალები მოწინააღმდეგისაგან წმენდენ რაიონს სოფელ შრომის ჩრდილო-აღმოსავლეთით. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შემავალი ყველა უწყების ახალი ქვეგანაყოფები განაგრძობენ იერიშს და განამტკიცებენ ქალაქ სოხუმის თავდაცვის მეორე ეშელონის პოზიციებს.

აფხაზური რეპორტაჟები

ტელეკამერით ხელში

საქინფორმის ფოტოქრონიკაში ყველას უყვარს და პატივს სცემს გურამ მგალობლიშვილს. ახლა იგი ფრონტელი ტელეოპერატორია. იმყოფება ავღანელ მეომართა ქვეგანაყოფში, რომლებიც იბრძვიან ყველაზე „ცხელ" წერტილებში მდინარე გუმისთაზე. და როცა გურამი ფოტოინფორმაციას გვიგზავნის, პირველ ყოვლისა, ის გვახარებს, რომ თავად ცოცხალი და ჯანმრთელია. სააგენტოს საკუთარი ფოტოკორესპონდენტი ბორის ალექსანდრია მოულოდნელად შეხვდა ფრონტზე გურამს და იგი მუშაობის დროს გადაიღო.

ვუსურვებთ ჩვენს გურამს ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებსა და ომის მალე დამთავრებას!

სურათებზე: ფრონტელი ტელერეპორტიორი-ფოტოჟურნალისტი გურამ მგალობლიშვილი; ქართველი არტილერისტები ცეცხლს უშენენ მოწინააღმდეგეს. ეს კადრი გურამ მგალობლიშვილის ტელერეპორტაჟიდან არის.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ფრონტზე მიდიან ჭაბუკები

ორმოცი ბორჯომელი ახალგაზრდა ამ დღეებში აფხაზეთში გაემგზავრა. მათ უკვე მიღებული აქვთ საბრძოლო ნათლობა — მცირე ხნით მოინახულეს ოჯახები და კვლავ ფრონტს მიაშურეს.

— ცოტა დავისვენეთ, ახლობლებს მოვეფერეთ და ჩვენივე სურვილით ქართული მიწის დასაცავად მივდივართ. საქართველოს მთლიანობის დარღვევის უფლებას არავის მივცემთ, — ამბობს ბორჯომელ მხედრიონელთა მეთაური, ოჩამჩირე-ტამიშის ბრძოლების გმირი გიგა გელაშვილი.

— ბორჯომელმა ახალგაზრდებმა აფხაზეთის ბრძოლებში თავი ისახელეს და კეთილშობილებითაც მოხიბლეს იქაური მოსახლეობა, — გვითხრა ბორჯომის მკვიდრმა, ამჟამად სოხუმში მცხოვრებმა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ფეხბურთში ანატოლი მილჩენკომ, — ბორჯომში მოვინახულე სოხუმელი ლტოლვილები, სკოლის მეგობრები, დედაჩემი და ახლა ბორჯომელ მებრძოლებთან ერთად ვბრუნდები აფხაზეთში.

ამ რამდენიმე დღის წინათ, კრასნოდარიდან დავბრუნდი,— საუბარს აგრძელებს ანატოლი მილჩენკო. — იქ ჩემს სოხუმელ მეგობრებთან ვ. კალენიცთან და ა. მოსკალენკოსთან ერთად გადავფრინდით და ბატონ ედუარდ შევარდნაძის დავალებით შევხვდით სრულიად ყუბანის კაზაკთა საჯარისო ფორმირებების ატამანს პოლკოვნიკ ვ. გრომოვს, რომელსაც წინათ კარგად ვიცნობდი. მას მივაწოდეთ ობიექტური ინფორმაცია აფხაზეთში გაჩაღებული ომის შესახებ. მოხარული ვარ, რომ შეხვედრა ნაყოფიერი გამოდგა და ამას ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ატამან ვ. გრომოვის წერილიც ადასტურებს, რომელიც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გამოუგზავნა. კაზაკებს არ გააჩნდათ სწორი ინფორმაცია აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე. ახლა კი ისინი კატეგორიული წინააღმდეგი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ კონფლიქტში.

როგორც მე, ასევე სოხუმელი ვ. კალენიცი და ა. მოსკალენკო საქართველოს მეორე სამშობლოდ ვთვლით. ჩვენ ქართულ მიწაზე გავიზარდეთ და საქართველოს თავისუფლებისათვის ქართველ ძმებთან ერთად ვიბრძოლებთ, — დასძინა ანატოლი მილჩენკომ.

რობერტ ცუცქირიძე.

აფხაზეთის ტრაგედიის გამოძახილი

ქუთაისი, საქინფორმის კორესპონდენტი მაკა კილაძე. 16 და 17 მარტს ქალაქიდან აფხაზეთის მიმართულებით წავიდა მედიკამენტებით, საწვავითა და ფრონტისათვის აუცილებელი სხვა მასალებით დატვირთული სარკინიგზო შემადგენლობა. მასვე გაჰყვნენ ახალგაზრდა ქუთაისელი ექიმები, რომლებიც იქ ადგილზე უხელმძღვანელებენ დაჭრილების ქუთაისში გადმოყვანის საკითხს.

ძნელია იმის თქმა, ეძინა თუ არა 16 მარტს ქუთაისს. ღამის 12 საათზე ქალაქის მერიაში გაიმართა ახლადშექმნილი სამობილიზაციო შტაბის პირველი სხდომა, სადაც ადმინისტრაციული სამსახურების, ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მიეცათ კონკრეტული დავალება ყველა სამსახურის მზადყოფნისათვის.

სრულ მზადყოფნაშია ასევე ქალაქის ორივე აეროპორტი, სადაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიიღონ აფხაზეთიდან მომავალი ტრანსპორტი. სოხუმში მოხალისედ წასვლის თაობაზე არაერთმა მოქალაქემ მიმართა მერიას.

— ამჟერად გამონაკლისს მხოლოდ მედიცინის მუშაკებზე ვუშვებთ, ხოლო რაც შეეხება ე. წ. სათადარიგოებს, მათ წინასწარი მომზადება უნდა გაიარონ 21-ე მოტომსროლელი ბატალიონის ბაზაზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ქუთაისის სამხედრო კომისარმა გიზო გორდულაძემ. — ბაზაზე შეკრებილ მომავალ დამცველებს შეხვდა ქალაქის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი. მებრძოლებმა გამოთქვეს მზადყოფნა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა და თავისუფლება.

რუსეთის ფედერაციის საელჩოს განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იწმუნებოდნენ, თითქოს საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის ელჩი ვ. ვ. ზემსკი მოსკოვში გაიხმეს აფხაზეთში მკვეთრად გამწვავებული სიტუაციის გამო, საელჩო იუწყება, რომ მიმდინარე წლის 15 მარტს მოსკოვში გამგზავრების დღეს ელჩი სამუშაო ვიზიტად იწვია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ე. ა. შევარდნაძემ, რადგან დავალებული ჰქონდა დაეზუსტებინა საქართველოს მხარის ოფიციალური პოზიცია საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის საკითხზე.

რაც შეეხება მოსკოვში მის გამგზავრებას, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ელჩს მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთისა და საქართველოს დელეგაციების მეოთხე სხდომის მუშაობაში. ცნობილია, რომ ელჩი უკვე მონაწილეობდა ყველა წინა სხდომის მუშაობაში, და სავსებით ბუნებრივია, მიმდინარე სხდომებსაც უნდა დასწრებოდა. ის ფაქტი, რომ იგი გაემგზავრა არა სხდომის დასაწყისში, არამედ მის საბოლოო ნაწილზე, დასასწრებად, დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი ამ დროს აუცილებლად თბილისში უნდა ყოფილიყო.

საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის საქმეთა დროებითი რწმუნებული
ვ. არხიპოვი.

სიტყვა პარლამენტის კომისიის თავმჯდომარეს

...რა ომში გავწყვეტილვართ, რა ავადმყოფობას დავუხოცივართ

მარადი ანასაშვილი

„ქარიშხალაში" მაშინ თამაშობდა, როცა ქართველი ხელბურთელები საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იყვნენ. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სპორტული დისპანსერის მთავარ ექიმად დაიწყო მუშაობა. ასე დაიბედა და, იმ დღიდან მოყოლებული, სულ მთავარი ექიმია. ჯერ კანისა და ვენერიულ სნეულებათა საავადმყოფოსი, ბოლოს კი თბილისის მთავარი სანიტარიული ექიმი.

თბილისში გაიზარდა, მაგრამ ძალიან უყვარს თავისი სვანეთი, სადაც დიდი სანათესავო ჰყავს. სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებენ თენგიზ გაზდელიანის მამას, ბატონ კორნელის ქვემო სვანეთში.

— დღესაც, მათი საფიცარიაო — დაუფარავი სიამაყით მეუბნება ბატონი თენგიზი. ალბათ ამანაც განაპირობა ის, რომ ლენტეხელებმა თავიანთ დეპუტატად თენგიზ გაზდელიანი აირჩიეს.

კენჭი იყარეს, რომ სთხოვეს, ცოტა გაუკვირდა.

— ჩემი კახას მერე სიცოცხლე დამთავრებული მეგონა, რაში გამოვადგები-მეთქი, შვილმკვდარი კაცი იქაურებს. ახლა კი ვხვდები, ეს რომ არა, ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა ჩემი მდგომარეობის შეგუება. რადგან ცოცხალი ვარ და ვარსებობ, საქმეს მაინც გავაკეთებ, ჩემს ხალხს მაინც გამოვადგები.

პარლამენტმა იგი ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარედ აირჩია.

— **ამას წინათ ტელევიზიით მოვისმინე, კლინტონმა ამერიკის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვისთვის 85 მილიარდი დოლარის გამოყოფა გადაწყვიტა. ჩვენთან რამდენი მანეთი გამოყვეს?**

— იმდენად მცირე თანხაა, ამის გამხელა არც კი შეიძლება. რაც გვქონდა, ისიც თვალსა და ხელს შუა გვეცლება. დარგის განვითარების დონეც უკან და უკან მიდის.

დღეს რესპუბლიკა, ტყვია-წამალს როგორც ეძებს, ასევე უნდა ეძებოს მედიცინისათვის სახსრები. არამარტო უნდა ეძებოს, რაღაც უნდა დაუჯდეს, იპოვოს კიდეც. სხვანაირად, რა ომში გავწყვეტილვართ და რა ავადმყოფობას დავუხოცივართ!

თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებას, ის სრულყოფილი სახელმწიფო არ არის, ხოლო, რაც შეეხება კანონს ჯანმრთელობის შესახებ, კანონს მოვარგებთ ქვეყანას იმ შემთხვევაში, თუ სათანადო სახსრები იქნება.

მედიცინის შემდგომი განვითარების გზა ფასიან სამედიცინო სამსახურზე გადასვლა და თვითდაფინანსებაა.

— **გრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობას იმაზე, რაც დღეს საქართველოში ხდება თქვენს დარგში: არ არის წამალი, არ არის შესახვევი მასალა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქვეყნის სანიტარიული მდგომარეობა?**

— საბაზრო ეკონომიკა შეიძლება ყველაფერს შეეხოს, თვით წამლით ვაჭრობასაც. მაგრამ იმ ფორმით, როგორიც დღეს საქართველოშია, ეს სიმახინჯეა დაუშვებელი: წამლებთან მხოლოდ და მხოლოდ პროვიზორი უნდა იყოს, წამალთმცოდნის ხელიდან უნდა გადიოდეს ავადმყოფთან წამალი.

— **როგორ მოვლება დღეს ამ საქმეს?**

— ღვთის წყალობით აფთიაქები საკმაოდ გვაქვს. მოვახდინოთ მათი პრივატიზაცია. იქ ხომ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები მუშაობენ, რომელთაც წამლის შენახვისა და გაყიდვის წესიც იციან. მივცეთ იმ ხალხს, ცენტრალიზებულ მომარაგებასთან ერთად კომერციული მომარაგების უფლებაც, დანარჩენი კი — წამლის მიღება, შენახვა, გასაღება, უკვე მათი საქმეა. წამალი ჯიხურებში არ უნდა იყიდებოდეს და სწორედ ამიტომ გამოიცა მინისტრის ბრძანება ამ სისტემაში მკაცრი კონტროლის დამყარებისათვის, სააფთიაქო ქსელმა ისე უნდა მოამარაგოს აფთიაქები, რომ ჯიხურებში აღარავინ იყიდოს.

— **დაახლოებით როდის ვარაუდობთ ჯანმრთელობის კანონპროექტის მიღებას?**

— ჩვენს კომისიაში სამი ქვეკომისიაა. ვმუშაობთ 12 დეპუტატი. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოც შევქმენით. მოვიწვიეთ თითქმის ყველა დარგის სპეციალისტები, თუ კი ვინმეს უფიქრია და უზრუნვია მედიცინაზე და ჯანმრთელობაზე, სათანამშრომლოდ მოვიწვიეთ ყველა, ვისაც რაიმე კონკრეტული მოსაზრება აქვს მედიცინის შემდგომი განვითარების შესახებ. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, მთელი რესპუბლიკის სამედიცინო ქსელია ჩართული ჯანმრთელობის დაცვის კონცეფციის შემუშავებაში. საბედნიეროდ ბევრმა საინტერესო მოსაზრება მოგვაწოდა.

ჯერ შევიმუშავებთ კონცეფციას. და მერე უკვე, დარგების მიხედვით, — კანონპროექტს.

პირველ რიგში ყველაზე აქტუალურ პრობლემებს ავირჩევთ. ვფიქრობთ, ასეთებია ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, დედათა და ბავშვთა დახმარება, შიდსი, ფსიქიატრიული სამსახური, დონორობის კანონი და ასე შემდეგ. დარგების მიხედვით ნელ-ნელა მივყვებით.

— **როგორც კომისიის თავმჯდომარეს, ბევრი საქმე გაქვთ, სვანეთისათვის თუ იცლით, თქვენი ამომრჩევლებისათვის?**

— მე უპირველეს ყოვლისა ჯერ მათი დეპუტატი ვარ და მერე — კომისიის თავმჯდომარე. რაც მთავარია, რაიონს დავეხმარე ფქვილით მომარაგებაში, გაზაფხულისთვის ხალხი გამგებელსაც აირჩევს, და, საერთოდ, დროა, ხალხმა თვითონ იფიქროს. ჩვენი ბედი ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ. ის დრო წავიდა, სახელმწიფო რომ ფიქრობდა ხალხის მაგიერ.

მე მეცოდება ის კაცი, რომელზეც თანამდებობა მოქმედებს. ის არასოდეს კაცი არ ყოფილა. თუ პარლამენტში ხალხს ვინმე არ მოსწონს, თავის გულში ჩაიხედოს, ჩემ სვანებს კი ძალიანაც მოსწონთ, ვინც აირჩიეს (ღიმილით წელში იმართება, თითქოს თავს იწონებსო ჩემი მოსაუბრე).

— **უკვე საკმაო დრო გავიდა, რაც პარლამენტი მუშაობს, როგორია თქვენი აზრი? და კიდევ: რამ გაიძულათ გაგეკეთებინათ ისეთი განცხადება, რომელიც თქვენ პარლამენტის ამასწინანდელ სხდომაზე გააკეთეთ?**

— თქვენ ალბათ ჯანმრთელობის შესახებ ცნობას გულისხმობთ?

— **დიახ.**

— თუ გახსოვთ, იმ სხდომაზეც იარაღის შენახვასა და ტარებაზე იყო საუბარი. კარგად მოგეხსენებათ, თუ სამედიცინო შემოწმება არ გაიარე და ჯანმრთელობის ცნობა არ წარადგინე, არც სასწავლებელში მიგიღებენ და არც სამსახურში. პარლამენტი კი ის ადგილია, სადაც ყველაზე უფრო ჯანმრთელი, სულიერად გაწონასწორებული, მორალურად სუფთა ადამიანები უნდა საქმიანობდნენ. ეს არის ორგანო, რითაც ერმა უნდა ისუნთქოს. თუ ვიშველიებთ ხოლმე ამერიკის, ინგლისის და სხვა განვითარებული ქვეყნების პარლამენტის გამოცდილებას, ამ საკითხშიც მივბაძოთ მათ. იქ არა მარტო ჯანმრთელობას, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, გარეგნობასაც უდიდეს ყურადღებას აქცევენ.

ხომ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა. ახლა მაინც მივდიოთ გონიერების ხმას. ახლა ქვეყნის გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ. ზოგი პოლიტიკოსი საქართველოზე კი არა, თავისი ამბიციების დაკმაყოფილებაზე უფრო მეტს ზრუნავს. ხალხს რომ მეტი ეფიქრა, უფრო ღირსეულებს აირჩევდნენ.

დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა სამეგრელოს ზოგიერთი რაიონის შემორიგება, აფხაზეთთან მოლაპარაკება და ომის სწრაფად შეწყვეტა. რუსეთთან დიალოგის გარეშე ამ საქმეს სიკეთით დამთავრება არ უწერია. ისე უნდა ავაწყოთ საქმე, რომ მომავალ პარლამენტში მაინც მოვიდნენ ჭკვიანი, საღად მოაზროვნე ადამიანები, ბოლოს და ბოლოს, ხალხი უნდა მიხვდეს, ვის ირჩევს და სად უშვებს.

— **რა აზრის ბრძანდებით სავალდებულო სამედიცინო დაზღვევაზე?**

— როგორც ყველაფერს, სამედიცინო დაზღვევასაც ეკონომიკური საფუძველი სჭირდება. ასევეა საწარმო-დაწესებულებაც, ასევეა კერძო პიროვნებაც. ეს ის გზაა, რომელსაც ვერ გადავუხვევთ და ამ ხნის მანძილზე, რაც ჩვენი კომისია მუშაობს, სწორედ ამ გზის ძიებას ვუნდებით. ჯერჯერობით ახალს განსაკუთრებულს არაფერს უნდა ველოდით, რადგან სადაზღვევო-სამედიცინო სტრუქტურების შესაქმნელად წლებია საჭირო.

— **სამედიცინო რეფორმა რომ სათანადოდ განხორციელდეს, რა არის ამისათვის საჭირო?**

— სახელმწიფო ბიუჯეტი, სადაზღვევო მედიცინა და ფასიანი სამედიცინო მომსახურება, აი ამ სამი კომპონენტის ჰარმონიულად ამუშავება გახლავთ სამედიცინო რეფორმის ბრწყინვალედ განხორციელების გარანტია.

ჩვენი სისტემა ხომ იმისათვის არის მოწოდებული, რომ ადამიანს ემსახუროს. მე მწამს, რომ შესაძლებელია ასპროცენტიანი ჯანმრთელობის მიღწევა. ამისათვის საჭიროა მეტი რეფორმები და სამედიცინო განათლება, მეტი ცოდნა იმისა, თუ როგორ მიაღწიო და შეინარჩუნო ჯანმრთელობა.

მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, თუ თითოეული ჩვენგანი კეთილსინდისიერად აკეთებს თავის საქმეს, თავისუფალ საქართველოში ყველა პირობა იქნება ჯანმრთელობის დასაცავად.

რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება ჩიხში მოექცა, მაგრამ იგი გაგრძელდება

მოსკოვი, 17 მარტი. (სტარსაკდების კორ.). „ამჟამად მოსკოვში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის პრინციპების შესახებ ჩიხში მოექცა, თუმცა იგი მაინც გაგრძელდება", — განაცხადა საქართველოს დელეგაციის მეთაურმა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხეილ უკლებამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

დელეგაციის მეთაურის აზრით, ასეთი სიტუაცია შეიქმნა უწინარესად რუსეთის მხარის მიზეზით, რომელსაც არ სურს განიხილოს რუსეთსა და საქართველოს შორის მომავალი ხელშეკრულების პროექტის პაკეტი, არამედ ცდილობს თავს მოგვახვიოს განსახილველად უწინარესად სამხედრო საკითხები. ამასთანავე რუსეთის მხარე ხელშეკრულების დადების წინასწარ პირობად აყენებს აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის მოწესრიგებას, რაც საქართველოს მხარეს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევად და მოლაპარაკების უსასრულოდ გაჭიანურების ცდად მიაჩნია, ხაზგასმით აღნიშნა მიხეილ უკლებამ.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციის მთავარ მიზეზად მინისტრის მოადგილემ დაასახელა იქ რუსეთის ჯარების ყოფნა, რომლებიც, როგორც მან თქვა, უშუალოდ მონაწილეობენ ბრძოლებში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ.

ანდრია კოზირევის პრესკონფერენცია მოსკოვში

17 მარტს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. კოზირევის პრესკონფერენცია.

უპასუხა რა ბი-ბი-სის კორესპონდენტის კითხვას აფხაზეთის უკანასკნელი მოვლენების თაობაზე, ა. კოზირევმა განაცხადა: პრობლემა ის გახლავთ, რომ რუსეთს აქვს საეჭვო პრივილეგია იყოს ყოველთვის დამნაშავე. როგორც მინისტრმა თქვა, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვერ მორიგებულან, და განიცდიან „ომის პარტიის" ზეგავლენას, ნაცვლად ამისა, რომ შეთანხმდნენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ოფიციალური პოზიცია ნეიტრალიტეტი და კონფლიქტის ნეიტრალიზაციის ხელშეწყობაა.

გაეროს მოწოდება საქართველოს დასახმარებლად

გაერომ მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწოდა, დაუყოვნებლივ აღმოუჩინონ დახმარება საქართველოს. გაეროს ჰუმანიტარული ორგანიზაციების, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ლიგების ჟენევაში გამოქვეყნებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ 21 მლნ. ამერიკული დოლარია საჭირო ასეულათასობით ადამიანის საკვებითა და მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად, ეკონომიკური მოშლის, აგრეთვე პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების გამო აფხაზეთში.

საქართველოს საელჩოს პრესცენტრის ცნობა

როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში ბატონი ვ. ზემსკი, რომელიც მონაწილეობდა საქართველო-რუსეთის მოსკოვის მოლაპარაკების მეოთხე რაუნდის მუშაობაში, 18 მარტს თბილისში ბრუნდება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა

ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება GTZ

ა.წ. 29 მარტიდან იწყებენ სემინარებისა და კონსულტაციების ციკლს თემაზე:

თბილისის მენეჯერთა სკოლა

საერთაშორისო საბანკო საქმიანობა

პირველი სემინარი

29.03 - 09.04

თემატიკა:
- გერმანიის საბანკო სისტემა
- საერთაშორისო ანგარიშსწორების საკითხები
- ფულის მიმოქცევა ჩეკების, თამასუქებისა და აკრედიტივების საშუალებით

ვიწვევთ:
- სახელმწიფო და კომერციული ბანკებისა და საფინანსო სამსახურების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს,
- უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის მასწავლებლებს

სემინარს გაუძღვება გერმანიის ბუნდესბანკის დირექტორი, ბატონი ჰიანც შტაინლე, რომელიც ჩაატარებს აგრეთვე გასვლით კონსულტაციებს სხვადასხვა ბანკში

მონაწილეები წინასწარ მიიღებენ სემინარის მასალებს ქართულ ენაზე.
სემინარი ტარდება თბილისის მენეჯერთა სკოლაში.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი 40. ტელეფონები ცნობებისათვის: 39-11-30, 39-34-61.

სემინარი ტარდება გერმანიის მთავრობის ფინანსური ხელშეწყობით

HAVER

ოღონდ ავად ნუ გაგვიხდებით!

მაგრამ თუ მაინც შეგეპარათ სენი, „HAVER"-ი თქვენთან არის!

დაიმახსოვრეთ:

HAVER PHARMACEUTICAL

— ფარმაციის საუკეთესო გამოცდილება.

— მედიკამენტების მოწინავე მსოფლიო დონე.

ფირმა „HAVER"-ის სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტები, იმპორტირებული ჯანდაცვის სამინისტროს ნებართვით, იყიდება № 36 აფთიაქში, ფალიაშვილის ქ. 33ა.

„HAVER"-ის რწმუნებული წარმომადგენელი საქართველოში ერთობლივი საწარმო „ესაბი", ტელ.: 98-36-31, ტელექსი 212958 ESABI, ფაქსი 98-96-58.

ქ. ვლადივოსტოკის ფირმა „პეტრინიკ კომპანი ლიმიტედის"
ქ. თბილისის ფილიალი ფირმა „მედეა"

გთავაზობთ

ჩინური წარმოების, საიდუმლო წესების მიხედვით დამზადებულ ბიოლოგიურ პრეპარატებს „ნან-ბაო" და „ნიუი-ბაოს", რომლებიც მხოლოდ ცხოველური და მცენარეული შენაერთებისგან შედგება.

პრეპარატი „ნან-ბაო" აძლიერებს მამაკაცის პოტენციას (ნანს), გამოიყენება თირკმელების ყოველგვარი დაავადების დროს, პოლუციის, პსიქასთენიის, სახსრების ანთების, იმპოტენციის და საერთოდ ყოველგვარი ანთებითი პროცესების დროს.

პრეპარატი „ნიუი-ბაო" ასევე ეფექტიანი საშუალებაა ქალებისათვის, გამოიყენება ყოველგვარი გინეკოლოგიური დაავადების დროს, მტკივნეული მენსტრუაციის, დიდი ხნის უშვილობის, საშვილოსნოს სისხლისდენის, წითელი და თეთრი გამონადენის და საერთოდ ანთებითი პროცესების დროს.

აღსანიშნავია ამ პრეპარატების უნიკალობა იმითაც, რომ მათი შემცვლელი პრეპარატი ჯერჯერობით არ არსებობს და არ იწვევს ორგანიზმში არავითარ გვერდით მოვლენებს.

ჩვენი მისამართი: ცოტნე დადიანის ქ. 87 (ყოფილი ოქტომბრის ქ.), ტელ.: 66-14-92, 66-22-90, ფირმა „მედეა", რკ. საკვანძო პოლიკლინიკა, ოთახი № 16.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის განცხადება

პარასკევს, 19 მარტს, დღის 12 საათზე, კინოს სახლის დიდ დარბაზში კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია იწვევს თავის ამომრჩევლებს, წევრებსა და მხარდამჭერებს პრივატიზების მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. განხილული იქნება, აგრეთვე, სარეფერენდუმო საკითხების ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა. ეს საკითხებია:

1. „გამოცხადდეს თუ არა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა, რის შედეგადაც მთელი ძალაუფლება გადაეცემა სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს";

2. „გსურთ თუ არა, რომ სახელმწიფომ საპრივატიზებო ქონება გადასცეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უსასყიდლოდ";

3. „დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნეს თუ არა საბარათო ნორმირებული სისტემა, მოსახლეობისათვის აუცილებელი ძირითადი პროდუქტის მიწოდების მიზნით".

ბესო ჯუღელი: მეწარმე არა გვყავს, სამინისტრო-რამდენიც გნებავთ

ბატონ ბესო ჯუღელთან ეს უკვე მესამედ მოვედი საინტერვიუდ. პირველად რომ შევხვდი, იგი ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს" დირექტორი და მრეწველთა კავშირის პრეზიდენტი გახლდათ, შემდეგ — მრეწველობის მინისტრი. ახლა ისევ პირველ თანამდებობაზე დამხვდა. ასეთ დროს ბევრი ყურებს ჩამოყრიდა, იგი კი ძველებურად მხნე, ენერგიული და შემართულია, არც კი ეტყობა, რომ ნამინისტრალია.

— **ბატონო ბესო, მინდა გულახდილი ვიყო და რაც გუნებაში მაქვს ყველაფერი გკითხოთ.**

— თანახმა ვარ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არც ერთ კითხვას არ გავექცევი.

— **დავიწყოთ მინისტრობიდან. ამ თანამდებობაზე სულ ცოტახანს დაჰყავით. ხომ ვერ გვეტყვით, თქვენი რა არ მოეწონათ?**

— მე მგონი იდეოლოგია და პოზიცია, რომელზეც ვიდექი. რადგან მიზნად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დავისახეთ, სამინისტროში მისვლისთანავე მრეწველობის დემონოპოლიზაციას და სოციალისტური სტრუქტურების რღვევას შევუდექი. უპირველესად ეს შეეხებოდა დარგში ხელოვნურად შეკოწიწებულ გაერთიანებებს, კონცერნებს და სხვა რგოლებს, რომლებიც საწარმოებს ზედმეტ ტვირთად აწვნენ, დახმარებით კი ვერაფერს ეხმარებოდნენ. მახსოვს მაშინდელი 28 კონცერნიდან მხოლოდ ერთი დავტოვე — „არამადნეულმრეწვი". ისიც იმიტომ გავაკეთე, რომ სახელმწიფო ინტერესები არ შელახულიყო, ჩვენი წიაღისეული რესპუბლიკის გარეთ არ გაზიდულიყო.

— **და თქვენ ფიქრობთ, რომ ამან ვინმე გაანაწყენა?**

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში გაუქმებული კონცერნების მესვეურები, კონსერვატორული წრეები, მათი დამცველი ზემდგომები. ბევრი მათგანი დღეს სიამოვნებით ლაპარაკობს საბაზრო ეკონომიკაზე, საქმით კი რაც შეუძლია ამუხრუჭებს.

— **გამოდის, რომ ჩვენთან დემონოპოლიზაციას ებრძვიან. მე კი ვიცი, რომ მთავრობამ ამის თაობაზე მშვენიერი დადგენილება მიიღო.**

— დადგენილება კი მიიღო, მაგრამ ცხოვრებაში რომ არ ხორციელდება? თუ გვინდა რომ მრეწველობა გამოცოცხლდეს და პროდუქციის წარმოება ინტენსიურად დაიწყოს, დემონოპოლიზაცია უნდა დაჩქარდეს. თანაც ეს უნდა გატარდეს „ოქროს კანონით".

— **რა გაქვთ მხედველობაში?**

— ახალი საწარმოები უნდა იყონ, რამდენად ეს შესაძლოა, პატარანი და რამდენად საჭიროა — დიდნი. რატომ იცით? მცირე საწარმოები უფრო მართვადია. მათ უადვილდებათ თავისუფალ ბაზარზე გასვლა, ნედლეულის შეძენა, ბაზრის მოთხოვნის კვალობაზე ტექნოლოგიების და თვით პროფილის შეცვლაც კი.

— **რა ეშველება გიგანტ საწარმოებს?**

— გიგანტომანიის დრო წავიდა. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ისინი ასე თუ ისე მართვადნი იყვნენ, ახლა კი უმართავნი გახდნენ. ისინიც, იმავე „ოქროს კანონის" მიხედვით, წვრილ საწარმოებად უნდა დაიშალოს. რა თქმა უნდა, მხედველობაში არა. მაქვს სტრატეგიული დანიშნულების გიგანტები.

— **სამინისტროებზე რა შეხედულების ხართ?**

— ისინი გვჭირდება, მაგრამ ამდენი არა. ჩემი აზრით, მაგალითად, სრულიად გამართლებული იქნებოდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის, ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროები გაერთიანებულიყო და მათი ფუნქციები გადასცემოდა ეკონომიკის სამინისტროს.

— **ერთი სამინისტრო ამდენ დარგს ვითომ თავს გაართმევს?**

— რატომაც არა, იგი ამ დარგებს მხოლოდ ფუნქციონალურ მომსახურებას გაუწევს.

— **უკაცრავად, მაგრამ ეს ხომ არ ჰგავს განაწყენებული კაცის პოზიციას? ბევრი, ალბათ, გაიფიქრებს, რატომ მაშინ არ ლაპარაკობდა ასე, როცა თავად იყო მინისტრიო.**

— სხვათა შორის, მაშინაც ამ აზრის ვიყავი. მახსოვს ერთხელ ბატონმა ვალერიან ადვაძემ მინისტრთა კაბინეტში დააყენა საკითხი, რათა ჩვენი სამინისტროს ფუნქციები გადასცემოდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს. მე მას დიდი სიამოვნებით დავუჭირე მხარი, რისთვისაც იქ მსხდომი ჩემი კოლეგების განაწყენება დავიმსახურე.

ეს, რა თქმა უნდა, მარტო სამინისტროებს არ ეხება, მთელ ქვეყანაში უნდა შეიცვალოს და დაიხვეწოს მართვის სტრუქტურა. მე პირადად მიმაჩნია, რომ მთავრობის აპარატიც გადატვირთულია, აქვს უამრავი განყოფილებები, ჰყავს უთვალავი მრჩევლები და სპეციალისტები, მრეწველობა კი ამ დროს გაჩერებულია, ალბათ უფრო გონივრული იქნება პრემიერ მინისტრს ჰქონდეს რამდენიმე მინისტრისაგან შემდგარი მცირე კაბინეტი, სადაც მინისტრები პრაქტიკულად თავიანთ დარგში მრჩევლებიც იქნებიან და კონსულტანტებიც. ამას დაემატა კანცელარია, რომლის გარეშე, ალბათ, ვერც ერთი მთავრობა ვერ იარსებებს.

— **ბატონო ბესო, მახსოვს თქვენ ვიდრე მინისტრი გახდებოდით, საწარმოების მაქსიმალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მომხრე იყავით.**

აქტუალური ინტერვიუ

— მე ეს პოზიცია არასოდეს შემიცვლია, მაგრამ პრაქტიკულად არ გამოდის ეს თავისუფლება და რა ვქნა? სიტყვით ვლაპარაკობთ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობაზე, საწარმოთა დამოუკიდებლობაზე, საქმით კი ისევ ძველ, სოციალისტურ სტრუქტურებს ვებღაუჭებით. შემუშავებულია რაღაც ფორმები, ანგარიშები, ძველებურად ითხოვენ სტატისტიკასაც. ყველა საწარმოს უფროსობს, მიცემით კი არავინ არაფერს აძლევს.

ასე მგონია, ხდება მმართველობის ძველი მეთოდების რეანიმაცია.

ჩემი აზრით, თუ გვინდა საწარმომ ამოისუნთქოს, ეს ყველაფერი უნდა მოისპოს. დარჩეს მხოლოდ საგადასახადო ინსპექცია, რომელიც საწარმოების ბიუჯეტთან ურთიერთობას გააკონტროლებს.

— **მთავრობა არ უნდა ერეოდეს საწარმოთა მართვაში?**

— არა. მისი პრეროგატივაა სახელმწიფო საზღვრების დაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, ქვეყნის ენერგეტიკით უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალური დაცვა, უცხოეთთან ურთიერთობა. ხედავთ რა რთული ფუნქციები აკისრია? ის ოღონდ ამას გაუძლევებოდეს და დამატებითი საზრუნავი რატომღა უნდა გავუჩინოთ?

რაც შეეხება საწარმოს, ოღონდ თავისუფლება მიიღოს და თავის გზას თვითონ მონახავს. მერე რა ვუყოთ, რომ ბევრი მათგანი გაკოტრდება. ჩვენ ამ პროცესს მაინც ვერ შევაჩერებთ, ვინც გასაკოტრებელია, უნდა გაკოტრდეს.

— **ახლა მთავრობაში, სამინისტროებსა და საწარმოებში უამრავ უცხოელ სპეციალისტსა და ექსპერტს შეხვდებით. გვეთათბირებიან, გვირჩევენ, ვითომ გვეხმარებიან კიდეც, მაგრამ დატყობით არაფერი გვეტყობა. მრეწველობა ვერა და ვერ დაიძრა...**

— ასევე გაგრძელდება, თუ უცხოელი ეკონომისტები და ექსპერტები ჩვენთან ურთიერთობაში მხოლოდ გასტროლიორობით დაკმაყოფილდებიან. თუ საქმის გაკეთება გვინდა, ჩვენ ისინი უნდა მოვიწვიოთ არა დღეობით, არამედ წლობით, რათა ღრმად ჩაუკვირდნენ ჩვენს გაჭირვებას, შეისისხლხორცონ საქართველოში შექმნილი რეალობა, განჭვრიტონ მომავალი. ერთი სიტყვით, მათ ჩვენთან ერთად უნდა იღვაწონ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის.

— **გეთანხმებით, მაგრამ როგორ დავამკვიდრებთ ამ ეკონომიკას, როცა პრივატიზაცია ვერა და ვერ დავიწყეთ?**

— მეც მანდა ვარ. შარშან რუსეთში პრივატიზაცია მოასწრო 46 ათასმა საწარმომ, ჩვენთან კი პრაქტიკულად ეს პროცესი ჯერაც არ დაწყებულა. გვქონდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი, რომელიც ახლა სამინისტროდ გადაკეთდა (სხვათა შორის იქ ჩემი ძმა მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობს), მაგრამ საქმე მაინც ვერ დაიძრა. პრივატიზაცია, რომელსაც ასე ველოდით, სანატრელი გაგვიხდა. რატომ? ვერ გავიგე.

არადა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, როცა იყო სოციალიზმი, მას თავისი კარგი თუ ცუდი მექანიზმი ჰქონდა. ახლა, როცა ძველიც მოიშალა და ახალიც არ შექმნილა, ქაოსმა და უწესრიგობამ იმძლავრა. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ საწარმოს პატრონი აღარა ჰყავს, ირგვლივ მასობრივი ქურდობა და ყაჩაღობა მოგვეძალა, ფაბრიკა-ქარხნები ერთიანად გაიძარცვა. ეს, ბუნებრივია, იწვევს კონსერვატიული და რეაქციული ძალების გაძლიერებას, უმუშევართა რიგების ზრდას და სოციალური აფეთქების საშიშროებას.

— **რაში ხედავთ გამოსავალს?**

— ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებაში, მისთვის საკანონმდებლო აქტების შექმნაში, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ჩვენთან საბაზრო ეკონომიკის პერსპექტივაზე, როცა დღემდე საკუთრების შესახებ კანონიც კი არ მიგვიღია? ამიტომაც არაა და არ გაჩნდა კერძო მეწარმე (მას კანონი უნდა იცავდეს). არადა, კერძო მეწარმემ, საკუთრების მრავალფეროვნებამ, ჯანსაღმა კონკურენციამ უნდა იხსნას ჩვენი ეკონომიკა.

— **თქვენ, მრეწველთა კავშირი თუ რამეს აკეთებთ საამისოდ?**

— ვერაფერს. მაშინ შევძლებთ რამეს გაკეთებას, როცა მრეწველობას ხელ-ფეხი გაეხსნება.

— **ბევრი ამას სამანეთო ზონიდან თავის დაღწევას უკავშირებს.**

— მალე რუსეთი ვალუტას შემოიღებს და სამანეთო სივრცეც, გვინდა თუ არ გვინდა, დაიშლება. ეს ძალიან მტკივნეული იქნება ჩვენი ეკონომიკისათვის. გამოსავალი ერთია, რაც შეიძლება მალე უნდა ვიქონიოთ ეროვნული ფული. ამასთან, ეკონომიკური კავშირები რუსეთთან და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან უეჭველად უნდა შევინარჩუნოთ. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ დასავლეთისკენ ორიენტაციაზე, ჩვენი მენტალიტეტი ჯერჯერობით მაინც მათზეა მიჯაჭვული. ამის ხელოვნური დაშლა გამოიწვევს ეკონომიკაში დიდ კატაკლიზმებს, რისი მომსწრენიც უკვე ვართ.

— **ამ ფონზე თქვენი საწარმო როგორ გამოიყურება?**

— შედარებით უკეთესად. შარშან, როცა აქ აღარ ვმუშაობდი, ქარხანამ ორი მილიონი მანეთის პროდუქციაც ვერ გამოუშვა, წლეულს 2 თვეში ორჯერ ამაზე მეტი შევძელით. წლის ბოლომდე კი ვვარაუდობთ, რომ სასაქონლო პროდუქციის მოცულობა 120 მილიონ მანეთს მიაღწევს. აქცენტი უფრო მეტად სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაზე გადავიტანეთ, თანაც იმის გამო, რომ საბანკო ოპერაციები შეფერხდა, ბრუნვაში ნაღდი ფული გავუშვით. ამან ნედლეულის შეძენაც გაგვიადვილა და შრომის ანაზღაურებაც. წარმოიდგინეთ, ზოგან დეკემბრის ხელფასიც არ გაუციათ, ჩვენ კი თებერვლისაც გავისტუმრეთ.

— გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის, ღმერთმა ინებოს, სამომავლოდ მეტი გაგეკეთებინოთ.

ოთარ ხუციშვილი.

პოეტის სული

ქართული სოფლის პოეტური ხატი—მულახი



რევაზ მარგიანის გახსენება

ლადო სულაბერიძე

რევაზ მარგიანი ორმოციანი წლების ახალგაზრდა ლიტერატურული თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ერთბაშად ამდენი ნიჭიერი და საიმედო ახალგაზრდა მწერლების გამოჩენა იშვიათი მოვლენაა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. მათმა სახელებმა მაშინდელი მცირე მოცულობის ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე გაიელვეს და ამიტომაც პირობითად მათ „ჩვენითაობელები“ დავარქვით, ტრაგიკული ბედისა აღმოჩნდა ეს თაობა. მსოფლიო ომმა დაარბია. ომიდან აღარ დაბრუნდნენ: მირზა გელოვანი, ვლადიმერ უბილავა, ხვედრიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ომის წლებშივე დაიჭირეს და დახვრიტეს კოტე ხიმშიაშვილი და გიორგი ძიგვაშვილი, ლადო ბალიაური გადასახლებაში დაიღუპა, ამავე პერიოდში უკურნებელი სენით გარდაიცვალნენ ლადო ასათიანი და ალექსანდრე საჯაია. ცოტანი გადაურჩნენ ამ საშინელ მსოფლიო ქარტეხილებს და ოთხმოციან წლებამდე ძლივს მოატანეს, ამ ბოლო ათწლეულში კი ხელიდან გამოგვეცალნენ: რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, გაბრიელ ჯაბუშანური, შალვა ამისულაშვილი, გიორგი კალანდაძე.

მიუხედავად ამისა, ეს გვარსახელები მაინც ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი დროის ლიტერატურის ისტორიაში.

ამიტომაც როცა ერთ-ერთ მათგანს გავიხსენებთ ხოლმე, მაშინვე თვალწინ დაგვიდგება ყველა მათგანი. მათი საუკეთესო ნაწარმოებები, რაც დრო გადის, უფრო-დაუფრო მეტ ინტერესს იწვევენ და უმათოდ დღეს ძნელი წარმოსადგენია ქართული ლიტერატურის მრავალფეროვანი ანთოლოგიები. ეჭვი არ არის, ასე იქნება მომავალშიც.

ამიტომაც არ გვავიწყდებიან ისინი და გზადაგზა ვიგონებთ, თავიანთ ღირსეულ ადგილს ვუმკვიდრებთ, მათი ხსოვნის საღამოებს ვმართავთ. მეტად ავი ტრაგიკული ბედის „ჩვენითაობელების“ სახელებს მტვერი არასოდეს წაეყრება.

შარშან რევაზ მარგიანს დაბადების 75 წლისთავი შეუსრულდა. ჩვენს თავს დატეხილ უბედურებათა გამო ვერ შევძელით ამაზე ყურადღების გამახვილება, რაღა თქმა უნდა, ვეღარც მისი წიგნი გამოვეცით, რომელიც რუდუნებით შეადგინა მისმა უერთგულესმა მეგობარმა და მეუღლემ ნინო მარგიანმა. ეს წიგნი ორი წელია გამომცემლობაში დევს. აღარც ის ვიცით, როდისღა გამოვცემთ. წუხს ნინო მარგიანი, ამ ერთი წიგნით მაინც მომეხადა მისი ხსოვნის წინაშე ჩემი უკანასკნელი ვალიო.

კი ვართ ვალდებულნი, გავიხსენოთ და შესაფერისი პატივიც მივაგოთ ამ ტრაგიკული ბედის თაობის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს რევაზ მარგიანს.

რამდენიმე წერილში შევეცადე ჩემი მეგობარი პოეტის შემოქმედებისა და ცხოვრების ზოგი მნიშვნელოვანი ეტაპი განმეხილა. ამჯერად მისი პოეზიის ფართო განხილვას აღარ შევუდგები, შევეხები მხოლოდ ერთ თემას, რომელიც პოეტის ლექსების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

განსხვავებულ ფერებს ეძებენ პოეტები, მხატვრები საღებავებით ახერხებენ ამას, პოეტები სიტყვათა თავისებური წყობითა და მრავალფეროვანი ლექსიკის მეშვეობით. ყოველნაირი მეტრული და რიტმული სხვადასხვაობა უბრალო ვარჯიშად დარჩება, თუ თავისებური სიტყვიერი სამოსელით არ იქნა ხორცშესხმული.

ამიტომ მიმართავენ ხშირად პოეტები ფოლკლორს, მშობლიურ კუთხეებს, იმ გარემოს, სადაც ბავშვობა გაატარეს და სადაც სისხლხორცეულად შეითვისეს მამისეული კერის გარშემო დამკვიდრებული წესები და სიტყვიერი საუფლო. არამარტო კუთხეებს, თითქმის ყველა ქართულ სოფელსაც თავისი კოლორიტი აქვს და ეს მდიდარ მასალას აძლევს პოეტს ლექსის საღებავების შერჩევისათვის.

საუკუნეების განმავლობაში ერქვა პატარძეული გიორგი ლეონიძის მშობლიურ სოფელს. ეს ტოპონიმი თავის ჩვეულებრივ სამსახურს უწევდა ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ კუთხის მოსახლეობას, ამით ამოიწურებოდა მისი დანიშნულება. მაგრამ როგორც კი პოეტის მძლავრ ლექსში გაიჟღერა ამ სიტყვამ, როგორც კი ამ სიტყვიდან, ვით მუხის გამძლე ღარიდან, გადმოიღვარა პოეტური გზნება, ის რომანტიკული ელვარებით შეიმოსა, თავად სიტყვამაც კი ახალი პოეტური ფერი შემატა გიორგი ლეონიძის აჩანჩქერებულ ლექსს, ამიერიდან ის არა მხოლოდ უბრალო ტოპონიმი, არამედ საქვეყნო მნიშვნელობის ელფერისა გახდა, რადგან ამ სიტყვით განისაზღვრა მგოსნის ლექსებში ქართული სოფლის თავისებური პოეტური ხატი. ვერანაირი სხვა პოეტი ვეღარ მიმართავს ამ სიტყვას, რადგან ის მხოლოდ გიორგი ლეონიძის ლექსების ორგანული მხატვრული ფერი გახლავთ.

ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე ილიას „ყვარლის მთებსა“, გალაკტიონის „მეფის ჰალასა“, ტიციან ტაბიძის „ორპირის ფშანსა“, ლადო ასათიანის „ბარდნალასა“ და სხვა მრავალთა შემთხვევებში.

ასევე გამოიყურება რევაზ მარგიანის ლექსებშიც სიტყვა „მულახი“, პოეტის მშობლიური სოფლის ტოპონიმი. ბავშვობიდანვე ამ სოფელში შეისისხლხორცა მან საერთოდ სვანეთის ფოლკლორული და რეალური ცხოვრების მოტივები. პირველივე ყმაწვილური ლექსიც „მირანგულა“ ამავე მოტივებზე ამოიზარდა. მერე და მერე სიტყვა „მულახი“ განუშორებლად გაჰყვა მის ლექსებს და ისე დაემკვიდრა პოეტის შემოქმედებაში ტოპონიმის აღმნიშვნელი ეს სიტყვა, მისი აზროვნებისა და მეტაფორული ქსოვილის განუყოფელ ნაწილად იქცა. როგორც კი გაიელვებს მის ლექსში ეს სიტყვა, ჩვენ წარმოგვესახება საერთოდ სვანეთი და ქართული სოფლის ხატი. „მულახი — ჩემი სოფელი“, „მულახში ერთი წყალია“, „წელს უსათუოდ მულახს ვეწვევი“, „შენ ნახე ჩემი მულახის კალთა“, „ეზოში, როგორც მოკლული ძერა, ფრთამოტეხილი ეგდო ყავარი“, „უშბას კბილები, ვით სახეჩელი, და ზედ დაყრილი ღრუბლის ფთილები“, „აჰა, მულახიც“, „შარშანდელი ღვარცოფი, ავდარი ქვედა მულახში“, „მულახური წვიმა“, „მულახში ახლა საოცრად ცრის, სუსხი დგას მულახური. ნისლებით დაძენძილ იფანზე თრთის პაწია მოლაღური“, „ჩეგემშიც თოვს, მულახშიც თოვს“, „მულახშიაც იმ მთვარეს ვუფიცხებ ხელს“, „ჩუმად! სძინავს მულახს, სძინავს თოთო კრავებს, სძინავთ დაღლილ ცელებს, ვარამს, წუხილს, სევდას, მხოლოდ ერთი წყარო სიცილს ვერ იკავებს, მოწოლილა კევრი მხართეძოზე ძნებთან“.

ამოვწერე პოეტის წიგნიდან ზოგიერთი ლექსის სათაური, ზოგიერთი სტრიქონიც ამოვიწერე, მულახი და მულახიო, ჟღერს სათაურებში საყვარელი სოფლის სახელი, იხატება სტრიქონებში სურათი სვანური სოფლისა. საცა არ მიაგდო ბედისწერამ, რა მანძილითაც არ განაშორა, მაინც იქ იყო, სულიერად მაინც უშბაზე იყო მითასმული. თბილისის სკოლას, უნივერსიტეტს, რუსთაველის პროსპექტს, მახაბლის ქუჩას შეეზორცა, მაგრამ სული მუდამ მულახისკენ ეზიდებოდა, ფესვები იქ ჰქონდა გადგმული, იმ ნაპრალებში, საცა მირანგულა ჩაიჩება, იმ მდიდარ და მეტად თავისებურ ფოლკლორში, რომლის ლილე, შაი ოდი შამორირა, ოია ოიალე, ოიდა ნანაილა, რერადი პოეტის ლექსებს სიტყვიერი და მუსიკალური ფერადებით ჰმოსავენ და ამით ქართული ლექსის ერთგვარად განსხვავებული სახეც იქმნება.

უშგულში გაბმულა სიმად,
კალაში რატომ წვიმს ნეტავ?
ხალდეში შხაპუნობს წვიმა,
მულახში ყველაფერს ვხედავ.

მულახში ყველაფერს ჰხედავს პოეტი, ამ სიმაღლიდან თუ სიღრმიდან ჰხედავს მთელ ქვეყნიერებას, ადამიანთა ცხოვრებას, აქ ესმის მზის სადიდებელი ჰიმნი ლილე და მთელი მამული თვალწინ უდგას, რადგან „ამ პატარა სოფელივით მთელი საქართველო მღერის“.

მთელი საქართველოს სული უდგას მულახს და ამიტომ პოეტის ლექსში მან ქართული სოფლის ზოგადი სახე მიიღო.

1977 წელს, ზაფხულში, რევაზ მარგიანს დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავი შეხვედრა მოუწყეს მესტიასა და მულახში. რამდენიმე მეგობარიც თან ვახლდით.

ჯერ მესტიის კულტურის სახლში გაიმართა საღამო. საკმაოდ მოზრდილი დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. გასასვლელშიაც ფეხზე იდგნენ დიდიან-პატარიანა. საღამო ჩატარდა ჩინებულად, არავითარი თეატრალიზებული მომზადება, ყველაფერი უბრალო, გულწრფელი, ბუნებრივი, მაგრამ დიდი, ნაღდი სიყვარულის გამომხატველი იყო.

ვნახეთ მარგიანების საგვარეულო სვანური მაჩუბი. მისასვლელთან შეგვხვდა ოდნავ წელში მოხრილი 84 წლის მოხუცი, ჯოხით ხელში, თეთრულვაშიანი დიმიტრი მარგიანი, რომელსაც ეკუთვნის მაჩუბი. დიმიტრი იმჟამად მახშვი იყო, ყველაფერი მას ეკითხებოდა, გვარის უფროსი იყო და ყველა სადაო საკითხს ის წყვეტდა.

მისი მაჩუბი უძველესია და იგი მეცნიერებათა აკადემიამ შეისყიდა, დაცულია სახელმწიფოს მიერ და მაშინ მიმდინარეობდა მისი რეკონსტრუქცია. სამწუხაროდ, წინა წელს მაჩუბის საგვარეულო პატარა ეკლესია გაუქურდავთ და რამდენიმე ძვირფასი ხატი მოუპარავთ.

ლეგენდაა ასეთი: ბეჩოში ცხოვრობდნენ ვერთვილიანები. ერთ ახალგაზრდას ერქვა მარგიან. ის წამოსულა აქ, მესტიაში და აუშენებია ეს მაჩუბი. აქ გაჩენილ თაობებს დარქმევიათ მარგიანები. მარგიანები აქედან წასულან მულახში.

მეორე დღეს მულახში ავედით, სადაც ნამდვილი მშობლიური სიყვარული გამოუმჟღავნეს მულახელებმა პოეტს. სოფლის კლუბში ერთმა შუახნის მასწავლებელმა ქალმა უთხრა რევაზს: „ჩვენ შეგიგვიანეთ შეხვედრა. ჯერ საქართველოს დედაქალაქში და სხვა კუთხეებში ვადევნეთ თვალი შენს ქებას. ასე ურჩევნია დედას. საქვეყნოდ გაგითქვამს სახელი. დედას არ შეუძლია ამდენი ქება გითხრას. დედას უხარია ეს ყველაფერი და ახლა აგრე თბილად იმიტომ გიკრავს გულში“.

ჩემ სიტყვაში ხაზი გავუსვი იმას, რომ სვანური ხალხური პოეზია მდიდარია, მაგრამ რევაზ მარგიანი პირველი სვანი პროფესიონალი პოეტია. მულახში და, საერთოდ, სვანეთში შეიძლება კვლავ მოგვევლინოს მასზე უკეთესი პოეტები, მაგრამ რევაზ მარგიანის მნიშვნელობა ამ მთებისათვის მუდამ დაუფასებელი იქნება.

მზის ჩასვლისას ზღაპრული სანახავი იყო თეთნულდი, ჩამავალი მზის შუქზე ჯერ წითლად აღუვდა, მერე გავარდისფერდა, მერე დამერე (თანდათანობით) იისფერი მიეძალა.

ვუცქერდი ამნაირ თეთნულდს და მომაჯადოებლად ისმოდა მულახელი ყმაწვილების ომახიანი სვანური სიმღერები.

ეფერებოდნენ მულახელები რევაზ მარგიანს და უნდა გენახათ, როგორი სხვანაირი გახდა პოეტი. მოგვიანებით მე დავწერე „ლექსი, რომელიც უნდა დამეწერა რევაზ მარგიანის მოგზაურობის დროს სვანეთში“: შენ უნდა განახოს კაცმა უშბასთან მზის ამოსვლისას ან მზის ჩასვლისას, როს ქარი ნისლებს წამოაგორებს და ნაპრალების ყბებში ჩასრისავს. შენ უნდა განახოს კაცმა ლილესთან, — ცით ამოფრქვეულ მზის შადრევნებთან, ან ჯიხვთა ჯოგზე გამოდევნებულს ვით მოგდევს გრგვინვა კლდეთა მსხვრევათა. შენ უნდა განახოს კაცმა, როცა გცემს სუნი გათიბულ ბალახბულახთა... შენ უნდა განახოს კაცმა უშბასთან, შენ უნდა განახოს კაცმა მულახთან.

შთაგონებაშიაც და რეალობაშიც რევაზ მარგიანი სხვანაირი, უფრო საინტერესოა, როცა მას ვხედავთ მშობლიური სვანეთის, — მესტიისა და მულახის ფონზე. სვანურ მოტივებზე აღძრულმა ლექსებმა გამოაცალკევა ის მრავალფეროვანი ქართული პოეზიიდან და ცხოვრებაშიც ამიტომ იყო განსხვავებული თავის თანატოლ მეგობარ მწერლებშიაც.

თბილისში ცხოვრება რო გაუძნელდებოდა, მაშინვე მულახს მიაკითხავდა. უშბასთან და თეთნულდთან ახლოს, სვანეთის მაღალ მთებზე წარმართულ კერპივით იყო აღმართული მშობლიური სოფელი და მას, როგორც სამლოცველო ტაძარს, მიაკითხავდა ხოლმე, როცა ლექსის წერის დროს ფერები შემოაკლდებოდა, ანდა ცხოვრება გაურთულდებოდა.

ომის დროს, 1942 წელს ქერჩის ტრაგედიას გადაურჩა, ფრონტული ქართული გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, ცოცხალმა გამოაღწია იქიდან და თბილისში ჩამობრუნებულს გაუჭირდა ოჯახის გამოკვება. მაშინვე მულახს მიაკითხა. მესტიის განათლების განყოფილებაში ინსპექტორობა მიანდეს. ასეთი რამ მიამბო ერთხელ: „ზამთარში ერთ-ერთ სოფელში სკოლაში გამაგზავნეს შესამოწმებლად. ცხენის ფული მომცეს, მაგრამ ცხენი არ დავიქირავე, ფეხით წავედი, ფული დავზოგე. შინელი მეცვა. მომშივდა ძლიერ. ერთი სული მქონდა, სანამ მასპინძლები რამეს შემომთავაზებდნენ. მერე წამიყვანეს ერთ სოფელში ქორწილში, გამიხარდა, მაგრამ როცა მივედით, ჯერ სუფრასთან არავინ მიგვიხმო, იყო ცეკვა და ტაშფანდური გაჩაღებული. გული მიღონდებოდა შიმშილისაგან. უცებ ეზოში შეიარაღებული კაცი შემოიჭრა და ცისკენ რამდენიმეჯერ გაისროლა. ყაჩაღად იყო გავარდნილი ერთი სვანი და ის მოვიდა, თქვენთან მინდა ვიქეიფოო. მე რო დავუნახივარ, ვეუცხოე თურმე შინელიანი და უკითხავს ჩემი ვინაობა. როცა უთხრეს, ვინ ვიყავი, მოვიდა ჩემთან და მითხრა, შენთან მინდა ღვინო დავლიოო. მასპინძელს თხოვა, ცალკე ტაბლა გაგვიშალეო. გულში გავიფიქრე, შენ აგაშენა ღმერთმა-მეთქი. ძალიან მშიოდა და ვატყობდი, კიდეც დიდხანს არ მიუსხდებოდნენ სუფრას მექორწილენი. მივუსხედით გვერდით, ყელამდე იარაღასხმულ ყაჩაღს და ჩინებულად მაქეიფა იმ ღამეს“.

რევაზი და მისი მეუღლე ნინო რამდენიმე წელი ცხოვრობდნენ მესტიაში. ბინა დაიქირავეს, ნინო მასწავლებლად მუშაობდა. ნინომ მიამბო: „ექვსი თვის ფეხმძიმე ვიყავი, როცა იქ ჩავედით. ერთ დღეს ორი ვედრო ავიღე, წყალი უნდა ამომეტანა ენგურიდან. ჩავყავი ვედრო და გადარეულმა მდინარემ გამომტაცა ვედრო. დავბრუნდი შინ, შემეშინდა, მეორე ვედროც არ წამართვას-მეთქი. რეზოს ვთხოვე, წყალი ამოეტანა. მომიტანა რეზომ წყალი. მეორე დღეს დავინახე, ეზოში ხუთმეტი სვანი ქალი შემოვიდა. ვიფიქრე, ჩემს სანახავად თუ მოდიან-მეთქი. მოვიდნენ და გოროზად მითხრეს, მეორედ თუ კაცი წყალზე გაგიგზავნია, აქედან აიბარგეო. ასეთი წესი ყოფილა, ყველა საოჯახო საქმეს და თითქმის სამეურნეო საქმესაც ქალი აკეთებდა, კაცი იცავდა ოჯახს და ნადირობდა. მე ეს არ ვიცოდი“. აქვე შეეძინათ მათ პირველი ქალიშვილი.

მოულოდნელად აქ ესტუმრა მათ ყრმობის მეგობარი ალექსანდრე საჯაია 1944 წელს. სამწუხაროდ, ალექსანდრე გაცივდა და მენინგიტით გარდაიცვალა. თბილისიდან ვახტანგ ჭელიძემ ექიმიც ჩამოიყვანა სასწრაფოდ, მაგრამ ვეღარაფერი უშველეს მეგობარს. რევაზმა და ვახტანგმა მშობლიურ ოდიში ჩამოასვენეს ძვირფასი მეგობრის ნეშტი.

მულახში სამუდამოდ დაიჩნდა პოეტის გულს ეს მწარე ტკივილი.

„იქნებ ჩემს მულახს ისევ სჭირდება ჩემი ხელახლა მონახულება? უნდა ვეწვიო... იქნებ ვჭირდები, დარდში, ლხინშიაც და სიხარულშიც... ჰიკჰიკს ნატრობენ ჩემი ჩიტები ჩაბუდებული ჩემს სალამურში“.

როგორც კი მოშორდება, მულახი ეძახის, მულახი უხმობს, როგორც მკვიდრსა და ფუძენაგებს, თანასოფლელებისაკენ მიეჩქარება როგორც მულახელს. იქნებ იქ დარდია, უნდა გაიზიაროს ის დარდი, იქნებ ლხინია, ეს ლხინიც უნდა იგემოს. პოეტსაც ისევ და ისევ მულახი მიეზიდება თავისკენ, აქ, ქალაქში სალამურში ჩაბუდებული ჩიტები ვეღარ ჰიკჰიკებენ, ჰიკჰიკს ნატრობენ მულახურს, თეთნულდურს, უშბასეულს.

და როცა მგოსნის სალამურში ჩაბუდებული ჩიტები მულახურ ჰანგებზე აჰიკჰიკდებიან, მისი ლექსიც სხვანაირი ფერისაა, სხვაგვარი ჟღერადობისა, ისეთისა, სხვათა ლექსებს რო არა აქვთ.

შავდალალავ, ის თავშალი
გშვენოდა,
მოშრიალე აბრეშუმი გიშერა,
შენს აულში ბნელი დაწვა
ზემოდან,
მოიქუფრა, ნისლიც წამოიშვლა.
შაი, შაი, შამორირა, შაირა!

მულახური ფერის ქართულია ეს რეფრენი, სვანური ფერის ქართულია, მისთვის დამახასიათებელი, მისი შექმნილი, მაგრამ მგოსნის ლექსში უკვე საერთო ქართული ფეროვანებისა.

მგოსნისთვის მულახი არ არის მხოლოდ უბრალო, ადამიანური საცხოვრისი. ის მისი პოეტური შთაგონების საფესვარია, საყრდენი და სამაგრისი, საერო ისტორიის სისხლსადინარი და ციხესიმაგრე.

საუკუნეების განმავლობაში არსებობდა უშბასა და თეთნულდის ახლოს, მესტიის რაიონის მაღალ მთებში მიკარგული მშვენიერი სოფელი მულახი. მესტიელებს გარდა ცოტა ვინმემ თუ იცოდა ჩვენს ქვეყანაში მისი ავან-ჩავანი.

ამ სოფლის ძუძუნაწოვარი, პირველი პროფესიონალი სვანი პოეტის რევაზ მარგიანის ლექსებში მთელი საქართველოს გასაგონად გახმაურდა მისი სახელი. ამ სოფლის ფერებმა აელვარეს პოეტის ლექსის სტრიქონები, პოეტის ღვთაებრივმა წარმოსახვებმა მხატვრული სინამდვილის სამოსელით შებურეს სოფელი და ის ამიერიდან არა მარტო სვანეთის მაღალი მთების ერთ-ერთი ჩვეულებრივი სოფელია, არამედ საერთოდ, ქართული სოფლის პოეტური ხატი.

სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი

„თბილისელი“— საიმედო ზურგი



როგორ ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და დავეხმაროთ სამშობლოს ჩვენი ქვეყნისათვის ამ ძნელბედობის ჟამს? ამ თემაზე იყო საუბარი გუშინ ქალაქის სასახლეში გამართულ საზოგადოება „თბილისელის“ შეკრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები: მინისტრები, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები, მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები, ექიმები, ჟურნალისტები...

თავის გამოსვლაში საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა დავით ციციშვილმა შეკრებილთ სთხოვა, წამოეყენებინათ კონკრეტული წინადადებები, თუ რით შეუძლიათ დაეხმარონ ჩვენს ქვეყანას, რამეთუ ამაზე დიდი განსაცდელი ჩვენ არ გვქონიაო.

სწორედ ამ განსაცდელის თაობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში თბილისის მერმა ბატონმა კოტე გაბაშვილმა. მან დამსწრეთ გააცნო სოხუმში დღესდღეობით შექმნილი მძიმე ვითარება, აღნიშნა, თუ რა დიდ ვაჟკაცობასა და გმირობას იჩენენ მეომრებთან ერთად თვით სოხუმელები, დიდი თუ პატარა. მერმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ამჟამად, დედაქალაქში ცხოვრება საომარ რეჟიმს უნდა დაექვემდებაროს. საწარმო-დაწესებულებები გადასული არიან ოცდაოთხსაათიან მორიგეობაზე, ასეთი მორიგეობა შემოღებული უნდა იქნას აგრეთვე, უმაღლეს სასწავლებლებში და ყველა მნიშვნელოვან ობიექტზე.

საზოგადოებასთან ახლადჩამოყალიბებული სამართალდამცავი ორგანოების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ ბატონმა ვაჟა გაგოშიძემ აღნიშნა, რომ მათი კავშირი აერთიანებს გამოცდილ ადამიანთა დიდ რაზმს და ისინი მზად არიან გვერდში ამოუდგნენ დედაქალაქის მერიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ შტაბს და ყოველმხრივ დაეხმარონ მათ.

„თბილისელის“ საზოგადოების წევრებმა ვახტანგ კიკაბიძემ, რეზო ამაშუკელმა, ვიქტორ შარაშენიძემ, ზეზვა ლოლუნიშვილმა, დევი კაჭარავამ და სხვებმა ილაპარაკეს იმ უზნეობაზე, იმ მოღალატურ პოლიტიკაზე, რასაც გაზეთები „იბერია-სპექტრი“ და „საქართველოს სამრეკლო“ მეთოდურად აწარმოებენ და თავიანთი პუბლიკაციებით ხელს უწყობენ ურთიერთდაპირისპირებასა და განხეთქილებას. უკმაყოფილება გამოთქვეს, აგრეთვე, პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატის მიმართ და მოითხოვეს პარლამენტის სხდომების ტელეტრანსლიაციის შეწყვეტა. გამომსვლელებმა გამოთქვეს თავიანთი გულისწყრომა ქალაქში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამო და დასახეს ღონისძიებები მათი გამოსწორებისათვის.

აღინიშნა ისიც, რომ „თბილისელთან“ შექმნილმა ქალთა საკრებულომ, რომელსაც ნინო კიღურაძე ხელმძღვანელობს, მიმართვა გააგზავნა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც, ხაზგასმულია, აფხაზ სეპარატისტთა და მათი რუსი დამქაშების უკანონო მოქმედებების შესახებ.

შემდეგ თბილისელებმა ომში გააცილეს გლდანის რაიონის საძმოს ახალგაზრდები, მტერზე გამარჯვება და მშვიდობით შინ დაბრუნება უსურვეს მათ.

ლარისა ხუბულური.

სურათზე: თბილისელები ომში მიდიან.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ტკივილიანი რეპლიკა

ვის და რისთვის უხმობს ზარი?

„ღმერთო, შეგცოდე, ანალოგიისთვის სულაც არ ვამბობ — ადამიანისა და მხეცის შედარება როგორ იქნება! — მაგრამ ნუთუ ის ინსტინქტიც არ შემოგვრჩა, საერთო მტრის დანახვისას ერთმანეთის დასაგლეჯად მზადმყოფ ძაღლებსაც კი დროებით მაინც რომ შეარიგებს და მოულოდნელად გამოჩენილი მგლის წინააღმდეგ საბრძოლველად გვერდიგვერდ დააყენებს?

ნუთუ ვერ ვამჩნევთ, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, აქელას დარი მგლები კი არა, ჯანიანი, კბილებ და ბრჭყალებდალესილი მტაცებლები გვიღლვებენ ეშვებს?

იქნებ ვცდები და ვაჭარბებ? ნეტამც ასე იყოს, მაგრამ...“

ეს ციტატა ჩვენი გაზეთის შარშანდელი 12 მაისის პუბლიკაციიდან — „...რომე კაცმა თავსა უყოს“ — არის ამოღებული.

ავტორის ვარაუდი რომ გამართლდა, სამწუხაროდ, დღეს ყველასთვის ნათელია. მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო სამწუხაროდ და სავალალოდ, ისიც ფაქტია, რომ ყველას არც ზემოაღნიშნული ინსტინქტი შემოგვრჩენია და, თუმცა აშკარა მტერი უკვე აშკარად ღვრის ჩვენს სისხლს, ყველას ერთნაირად არც ეს შეგვძრავს და გვაღელვებს!

ნუთუ ახლაც არ დადგა დრო, რომ თუნდაც დროებით მაინც დავივიწყოთ ურთიერთწყენა, ურთიერთდაპირისპირება და შეურიგებლობა — რა მოტივითაც უნდა იყოს იგი განპირობებული — და საერთო უბედურებამ ასევე დროებით მაინც გაგვაერთიანოს (მტრის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის უსერიოზულეს მცდელობასა და სამშობლოს დასაცავად ქართველთა დაღვრილ სისხლს ყველა ცოცხლად დარჩენილი ქართველი მართლაც საერთო ტკივილად და უბედურებად თუ აღიქვამს, (ცხადია)?.

ყველაფერი ეს კი გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ 17 მარტის ნომრის სახელდახელო გადათვალიერებამ დაგვაწერინა.

თუმცა ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ: ჩვენი მიზანი სულაც არ გახლავთ ხსენებული გაზეთის ამ თუ სხვა ნომრების მასალებისა და პოზიციის ავ-კარგიანობის შეფასება — ყველას თავისი პოზიცია და სათქმელიც აქვს და მისი გამოხატვა-თქმის უფლებაც.

ჩვენ მხოლოდ ერთ რამეს გვინდა მივაპყროთ მკითხველის ყურადღება.

გაზეთი გამოვიდა 17 მარტს, ე. ი. დასაბეჭდად ხელი მოეწერა თექვსმეტში, ანუ იმ დღეს, როდესაც მთელი საქართველო შეძრულ-შეძრწუნებული იყო სოხუმის ბარბაროსული დაბომბვითა და იქ დაღვრილი ქართველი მეომრებისა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლით.

მეორე დღეს გამოსულ „საქართველოს სამრეკლოში“ კი არც ერთი სიტყვა არ არის ამაზე ნათქვამი (!!!).

არავის არაფერს ვაბრალებთ და ვუკიჟინებთ, მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ განსჯისათვის. და კიდევ: დავუშვათ თუნდაც, რომ ეს ომი აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა ფარულმა (ახლა უკვე გამოაშკარავებულმა!) მხარდამჭერებმა კი არ მოგვახვიეს თავს, არამედ იგი, „საქართველოს სამრეკლოსავე“ სიტყვებით რომ ვთქვათ, შევარდნაძის „სისხლიანმა ხუნტამ“ წამოიწყო. ასეც რომ იყოს, განა ეს გვაძლევს ნებისმიერ ქართველს, ქართულ გაზეთს საბაბს და ადამიანურ უფლებას იმისას, რომ ორიოდ სიტყვით მაინც არ მივუსამძიმროთ დაღუპულთა ჭირისუფლებს, სრულიად საქართველოს ეს ტრაგედია?

დროებით მაინც მოვეგოთ გონს და ასევე დროებით მაინც გავერთიანდეთ, ქართველებო! ყველამ ჩვენ-ჩვენი სამრეკლოდან ჩვენებურად კი ვარისხოთ (ვინ რამდენად სამართლიანად, ამას დრო და ხალხი განსჯის!) ზარები, მაგრამ ეს ამ უკიდურესი საერთო გაჭირვების ჟამს მაინც საერთო საქმეს ხომ უნდა შეეწეოდეს?

რუსლან რუსია.

დაფუძნდა კიდევ ერთი საქველმოქმედო ფონდი

საქართველოს სპორტის და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ საბჭოსთან დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი, რომლის მიზანია საქველმოქმედო საქმიანობით დაინტერესებულ ორგანიზაციათა და პირთა გაერთიანება, სხვადასხვა ქვეყნების საქველმოქმედო ფონდებთან და საზოგადოებებთან, ქველმოქმედ პირებთან კონტაქტების დამყარება. ფონდი მატერიალურ დახმარებას გაუწევს პენსიონერ, ვეტერან და ინვალიდ სპორტსმენებს, დააწესებს სახელობით სტიპენდიებს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის სტუდენტებისათვის.

ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელი კრება. კრებაზე აირჩიეს ფონდის პრეზიდენტი (ს. ხატიაშვილი), ვიცე-პრეზიდენტი, გამგეობის წევრები.

ფონდის წევრობა შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას ან პირს, თუ იგი იზიარებს ფონდის წესდებას, მიზნებს, ამოცანებს და შეიტანს საწევრო გადასახადს. მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ საბჭოს.

მისამართი: ქ. თბილისი, ანაგის ქ. 7.

ანგარიშის ნომერია 000 69577, მფო 521664, „საქსოცბანკის“ საბურთალოს რაიონული განყოფილება, ქ. თბილისი.

„აიაქსის“ დამხობა

უეფას თასისათვის ბრძოლას გამოეთიშა ამ საპატიო პრიზის ამჟამინდელი მფლობელი ამსტერდამის „აიაქსი“.

საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვების მიუხედავად — 1:0, ჰოლანდიელი ფეხბურთელები ძლეულნი იქნენ საფრანგეთის „ოსერის“ მიერ, რომელმაც პირველი შეხვედრა შინ უფრო დიდი ანგარიშით მოიგო. — 4:2.

იწყება მეორე წრე

დღეს იწყება საქართველოს მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. ფეხბურთში. სასტარტო მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან: „კახეთი“ — „დინამო“, „იბერია“ — „ცხუმი“, „ალაზანი“ — „გორდა“, „სამგურალი“ — „ბათუმი“, „შევარდენი-1906“ — „კოლხეთი-1913“, „ოდიში“ — „სამტრედია“, და „ტორპედო“ — „დილა“.

ვიმედოვნებთ, რომ ქვეყანაში არსებული უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ჩვენს სტადიონებზე ფიფასა და უეფას წევრი სახელმწიფოს საკადრისი ატმოსფერო დამკვიდრდება და ტყავის ბურთის ქართველი ოსტატები მრავალ სასიამოვნო წუთს აჩუქებენ მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს.

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და დაბადების დღეს ვულოცავთ კვიპროსის „ანორთოსისის“ ფეხბურთელს თემურ ქეცბაიას, რომელსაც დღეს 25 წელი შეუსრულდა.

მრავალჟამიერ, „ქეცბა“!

ლელა მესხი — მეხუთე წრეში

ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ლელა მესხი დიდი წარმატებით ასპარეზობს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ კი-ბისკეინის კორტებზე მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 8 მილიონ დოლარს შეადგენს.

მან უკვე 4 შეხვედრა მოიგო, მათ შორის, კანადელ კელესისთან და ჰოლანდიელ ოვერმანსთან.

ცხონება

აკაკი შანიძე

გარდაიცვალა ქართული თეატრის ცნობილი მოღვაწე აკაკი ემილიანეს ძე შანიძე.

დაიბადა 1911 წელს.

იგი წლების მანძილზე იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დირექტორი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დირექტორის მოადგილე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1988 წლიდან საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სასწავლო თეატრის დირექტორი.

სრულიად განსაკუთრებულია აკაკი შანიძის დამსახურება ვ. აბაშიძის სახელობის თეატრის წინაშე. მრავალი წელი ედგა სათავეში. მან ურთულეს პირობებში თავისი ორგანიზატორული მუშაობით შეძლო თეატრის მხატვრული სახის შენარჩუნება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

იგი დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ყველგან, სადაც კი მუშაობდა.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, უანგარო, ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ადამიანი, რომლის ღვაწლი და ამაგი მუდამ დარჩება ქართული თეატრის ისტორიაში.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი; ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი.

როლანდ ჯგერენაია

სოხუმში მუხანათურად გასროლილი ტყვიით დაიღუპა აფხაზეთის თავდაცვის შტაბის წევრი, ავტონომიური რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი როლანდ ჯგერენაია.

დაიბადა 1946 წელს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის შემდეგ დაამთავრა საქართველოს წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია. წლების მანძილზე მუშაობდა ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად, აფხაზეთის ფილიალის ხელმძღვანელად, ამავე დროს მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1987 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსად.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლების, კოლეგების გულში.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქწყალმეურნეობა“; „საქწყალმშენი“; საქართველოს წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი; „საქსახწყალპროექტი“.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმი იუწყება, რომ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარეს აკაკი სიხარულიძეს გარდაეცვალა მამა

ივანე ისიდორეს ძე სიხარულიძე

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

თურქეთის რესპუბლიკაში წამსვლელთა საყურადღებოდ!

ფირმა „მეტეორი“ 14 აპრილს, 12000 (თორმეტი ათას) მანეთად გთავაზობთ მოგზაურობას ქალაქ ტრაპიზონამდე.

ტელ.: 38-31-64 9 სთ-დან 17 საათამდე, 37-97-91 17 სთ-დან. მისამართი: საბურთალოს 48.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა

გ ა ც ნ ო ბ ე ბ თ

რომ მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის მიზნით გამოშვებულია შემნახველი ბანკის **1000, 5000 და 10000 მანეთის ღირებულების სერთიფიკატები,** რომლებიც თავისუფლად იყიდება და შიიღება გასანაღდებლად შემნახველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

სერთიფიკატები გამიზნულია ფულადი დანაზოგების **10 წლის ვადით** შენახვისათვის. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში თქვენი თანხა **ხუთმაგდება,** ე. ი. სერთიფიკატზე გაიცემა შემოსავალი წლიური გაანგარიშებიდან საშუალოდ **40%**-ის ოდენობით.

შემნახველი ბანკის სერთიფიკატი - ფასიანი ქაღალდია წარმომდგენზე, რომელიც შესანახად შეგიძლიათ მიაბაროთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი გაძლევთ თქვენი ფულადი ოპერაციების ანონიმურობის გარანტიას.

ბანკის გამგეობა შეგახსენებთ, რომ 1991 წლის 1 მარტამდე გაცემულ სერთიფიკატებზე დარიცხულია **კომპენსაცია 40%** და გაკეთებულია **100%-იანი ინდექსაცია,** როგორც ძირითად, ასევე საკომპენსაციო თანხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი მომავალშიც იზრუნებს მაქსიმალურად დაიცვას თქვენი ანაბრები ინფლაციისაგან.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-32-28; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი [illegible]

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434